



სახეს

2024, ივლისი

საგარეო ურთიერთობების კვლევების თვეური
THE MONTHLY BULLETIN OF CATHOLICS OF GEORGIA - SABA



N7 (343)



რედაქციის გვერდი ... 3-4

კათოლიკე ეკლესია

მსოფლიოში..... 5-6

ჩვენი ეკლესია..... 7-8

ინტერვიუ..... 9-10

აქტუალური თემა..... 11-12

ჩანართი:..... I-IV

სახარების სიხარულის

მოწვევა..... 13

ისტორიის ფურცლები. 14-15

ახალი წიგნები..... 16-17

ახალგაზრდული

გვერდი 18

საბავშვო გვერდი..... 19-20

კათოლიკური

კულინარია 21

ინფორმაცია..... 22-23

ივლისი

- 3** ივლისი - წმ. თომა მოციქულის დღესასწაული
- 11** ივლისი - წმ. ბენედიქტე, ევროპის მფარველი, ბენედიქტელ დედათა მფარველი, დღესასწაული
- 14** ივლისი - წმ. კამილო დე ლელისი, სნეულთა და მედმუშაკთა მფარველი, კამილიელ მამათა ზემი
- 21** ივლისი - მ. პავლე შჩეპანეკის გახსენება, გარდაცვალებიდან 25 წ. (+1999)
- 22** ივლისი - წმ. მარიამ მაგდალელი, დღესასწაული, დ. ნოელ ლოკატელის გახსენება (+2019)
- 24** ივლისი - მ. ნინო (ჯანჭიროლამო) მარტინის გახსენება (+2017)
- 25** ივლისი - წმ. იაკობ მოციქულის დღესასწაული

კონკურსი ქუთაისის
ზოგადსაგანმანათლებლო საჯარო
სკოლის პედაგოგებისთვის

2024

**მრავალფეროვანი
საქართველო**
კათოლიკური კულტურული
მემკვიდრეობის ნიშა
რელიგიურ მოზაიკაში

საფინანსო პროგრამა
06/06.2024წ. 17:00სთ
დ. ნაზარიშვილის სახლ-მუზეუმი

**ფილმის
ჩვენება (16 წთ)**

**კონკურსანტების
დაჯილდოება**

**ფურშეტი /
კლასიკური მუსიკა**

დას. საქართველოს კათ.
კავშირი სავარდი

პედაგოგთა კავშირი
"განათლება და სამყარო"



3852,60 კილომეტრის დაშორებით?

საქართველოდან სწორედ ამ მანძილის დაშორებით, ა.წ. 29 მაისს, რომში, პაპ ფრანცისკესთან ერთად, მთელი მსოფლიოდან შეიკრიბნენ ბავშვები, რათა აღენიშნათ ბავშვთა მეორე მსოფლიო დღე. ამასთან დაკავშირებით, მრავალი ინიციატივა დაიგეგმა, ერთ-ერთ ღონისძიებაში გამოჩნდა ცნობილი მსახიობი რობერტო ბენინი (გაიხსენეთ ფილმი „ცხოვრება მშვენიერია“), რომელმაც მისთვის ჩვეული მანერით ასე მიმართა ბავშვებს: „ჩვენ ამას (ომს) ბოლო უნდა მოვუღოთ. როდესაც ბავშვები „ომობანას“ თამაშობენ, ვხედავ, რომ თუ ერთი მათგანი რამეს იტყენს, მაშინვე ჩერდებიან და თამაში სრულდება. მაგრამ როცა ისინი (უფროსები) ომობენ, რატომ არ შეჩერდებიან პირველივე დაშავებულის, დაჭრილი ბავშვის ტანჯვის, ტკივილის გამო?... რატომ? როგორი სიმხდალეა. ომი უნდა დასრულდეს, ის უნდა დასრულდეს... ჩვენ უნდა მოვძებნოთ სწორი სიტყვები... ვერაფერია იპოვა შესაფერისი სიტყვა ომის შესაჩერებლად, დაახლოებით, ამის მსგავსი: „სეზამ, გაიღე!“ „ომო, შეჩერდი!“. თუმცა, დარწმუნებული ვარ, რომ თქვენ შორის მოიძებნება ისეთიც, ვინც იპოვის სიტყვას ომის სამუდამოდ შესაჩერებლად. ეს სიტყვა არსებობს და ერთად უნდა ვეძიოთ იგი“.

**მამა გაბრიელე
ბრაბანტინი CSS
მთავარი რედაქტორი**



სტიგმელი;
ეპისკოპოსის ვიკარიუსი
ეკუმენიზმისა და კულტურის
დარგში; ქუთაისის,
გათუმისა და მოსკოვის
საკრავულოთა წინამძღვარი

26 მაისს კი საქართველოში აღინიშნა დამოუკიდებლობის დღე. ბავშვებს, რომლებიც სურათებს იღებდნენ ტანკებთან, ისე ეჭირათ ხელში ჯარისკაცის იარაღი, თითქოს მათი გამოყენება სურდათ ისეთ თამაშში, რომელიც მსოფლიოში ბევრი ბავშვისთვის არ არის თამაში, და ეს ყველაფერი ხდებოდა კმაყოფილი მშობლების, მეგობრების, კლასელების თვალწინ... ასევე იწონებდნენ ფეისბუქზე, თითქოს ყველაფერი ნორმალური ყოფილიყოს; განა ვინმე მისცემს ბავშვს დანას სათამაშოდ? როგორც ჩანს, საქართველოშიც არავის სურს გამოძებნოს „სწორი“ სიტყვა ომის შესაჩერებლად. დავფიქრდეთ, მაგალითად, განა არის ნორმალური, „სწორი“ ეროვნულ

რედაქტორის გვერდი

დღესასწაულებზე, და არა მარტო საქართველოში, სავალდებულოდ აქციო ყველაზე თანამედროვე იარაღის დემონსტრირება და არა სხვა „იარაღების“: წიგნების, ნახატების, ქანდაკებების, სიმღერების, ცეკვების... მსახურების, პატიოსნების, პატივისცემის, განვითარების მაგალითები... და არა ის, რაც ჩვენს ქალაქებში ბანერებზეა დაწერილი: „გახდი საქართველოს ჯარისკაცი“. საინტერესოა, როგორც რეკლამა; მაგრამ ასეთ რეკლამას შეუძლია კი გაპოვნინოს ის „სწორი“ სიტყვა, რომელიც შეაჩერებს ომს და, ასევე, სამუშაოს მისცემს ახალგაზრდებს? რამდენი წელია უკვე, რაც ეს რეკლამა საქართველოში! რატომ არ უნდა გავუკეთოთ რეკლამა ერის ცხოვრების სხვა ასპექტებსაც, მაშინ როდესაც ქვეყანას ამდენი ადამიანი ტოვებს: არ სჭირდებათ ექიმები, ადვოკატები, იურისტები, პროფესორები, ჟურნალისტები, პოლიტიკოსები, ფერმერები, ეკოლოგები... რომლებიც იმსახურებენ საქართველოსა და მისი ხალხის საჭიროებებისათვის? სწორედ იმიტომ, რომ ერთი შედგება მოქალაქეებისაგან და მათი პატიოსანი, კვალიფიციური, თავდაუზოგავი მსახურება ყველასთვის საჭიროა... პატრიოტულია კი, როცა ექიმი მხოლოდ ფულის გამო მუშაობს? როდესაც სკოლებში სათანადოდ არ ასწავლიან არა მხოლოდ სასკოლო საგნებს, არამედ ახალგაზრდებისა და საზოგადოებისათვის აუცილებელ ღირებულებებსაც; შევიტყვე, როგორი შეშფოთე-

ბული, შენუხებული არიან მშობლები, რომელთა შვილებმაც დაამთავრეს სკოლა, რადგან 2000 ლარამდე უფლებათ მათი გამოსაშვები სალამო და ვერც იმას ბედავენ, რომ სხვებს დაუპირისპირდნენ... როცა პოლიტიკოსი დაინტერესებულია მხოლოდ საკუთარი პარტიით და არა ხალხის კეთილდღეობით, განა ეს არის პატრიოტიზმი?

აუცილებლად უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სწორედ იმ ქვეყნებში, რომლებსაც ხშირად „ფსევდოღირებულებების“ გამო ამორალურებად მოიხსენებენ და „უცხოურ აგენტებს“ უწოდებენ ყველას, ვინც მათ ორგანიზაციებში მუშაობს, არსებობს ახალგაზრდებისთვის მოხალისეობის, სამოქალაქო სამსახურის, როგორც სამხედრო ალტერნატივის, ფორმები: ეს მათთვის ცხოვრების ის პერიოდია, როცა შეუძლიათ თავიანთი წვლილი გაიღონ სამშობლოს საკეთილდღეოდ; დიდი ძალისხმევით საქართველოშიც უნდა დაწყებულიყო სამოქალაქო სამსახური, როგორც სამხედრო მსახურების ალტერნატიული ფორმა; მაგრამ რამდენი ახალგაზრდა შეუდგა ამ საქმეს? ვინ იცის? იქნებ სწორედ ამისთვისაა საჭირო რეკლამა? იქნებ სჯობდეს, ეკლესიებმა, რელიგიებმა და არასახელმწიფო ორგანიზაციებმა უფრო მკაფიოდ დაუჭირონ მხარი ამ ინიციატივას, თუნდაც იმიტომ, რომ არ გაიზარდოს მანძილი, განსაკუთრებით კულტურული, და არ გადააჭარბოს ამ 3852, 60 კილომეტრს?



უნმიდასმა ფრანცისკემ ღარიბი ქვეყნებისთვის საგარეო ვალების გაუქმებისკენ მოუწოდა



5 ივლისს, სამხრეთ ქვეყნების სავალო კრიზისისადმი მიძღვნილი კონფერენციის მონაწილეებთან შეხვედრისას, პაპმა უღარიბესი ქვეყნების ვალების გაუქმებისკენ ან შეკვეცისკენ მოუწოდა. „პანდემიისა და ომების შედეგად ჩვენ აღმოვჩნდით სავალო კრიზისის წინაშე, რომელიც ყველაზე მტკივნეულად სამხრეთის ქვეყნების უღატაკეს მოსახლეობაზე აისახება. ამ პრობლემის გადაწყვეტისთვის უნდა შემუშავდეს თანადგომასა და თანხმობაზე დაფუძნებული ახალი საერთაშორისო მექანიზმი. პაპი იოანე პავლე მეორე ამბობდა, რომ საგარეო ვალი მხოლოდ ეკონომიკური პრობლემა კი არ არის, არამედ ეთიკურიც, რომ საიუბილეო 2000 წელი კეთილი ნების გამოვლინების დრო და ღარიბი ქვეყნების საგარეო ვალების გაუქმების შესანიშნავი საბაბი იყო. მინდა გავიმეორო პაპ ვოიტილას ეს მოწოდება და შეგახსენოთ, რომ დღეს, როცა ჩვენ საიუბილეო 2025 წლისკენ მივიწვევთ, მთელ მსოფლიოში მრავალი ადამიანი შიმშილს განიცდის. ამაზე თვალის დახუჭვა ცოდვაა, მათთვისაც, ვისაც რწმენა არ აქვს. ეს სოციალური ცოდვაა“.

„ვილოცოთ მათთვის, ვისაც ომი სურს“

6 ივნისს, ნორმანდიაში მოკავშირეთა დესანტის გადასხმის 80 წლისთავთან დაკავშირებით, უწმიდესმა ფრანცისკემ საგანგებო ეპისტოლე გაუგზავნა ბაუესა და ლიზიეს ეპისკოპოსს, ჟაკ აბერს. „გვახსოვს ის კოლოსალური ერთობლივი ძალისხმევა, რომლის მიზანი თავისუფლების დაბრუნება იყო. ამ ძალისხმევის ფასიც გვახსოვს: ათასობით

ახალგაზრდა ჯარისკაცი, რომლებმაც გმირულად გაიღეს თავიანთი სიცოცხლე იმისთვის, რომ ბოლო მოეღოთ მეორე მსოფლიო ომისთვის, - ამ საშინელი ომისთვის, რომელსაც უამრავი მამაკაცი, ქალი და ბავშვი შეენირა, რომელმაც ამდენი ტანჯვა მოიტანა. თვალთმაქცობა იქნება, თუ ამ ღირსსახსოვარ დღეს არ დავგმობთ და საბოლოოდ არ უარვყოფთ ყოველგვარ ომს. ათწლეულების განმავლობაში ნარსულ შეცდომათა მოგონება იმის საწინდარი იყო, რომ ამგვარი რამ არ გამეორდებოდა. მაგრამ გულიტკივილით უნდა აღვნიშნო, რომ ადამიანებს მოკლე მეხსიერება აქვთ... ვილოცოთ მათთვის, ვისაც ომი სურს, ვინც ომს აჩაღებს, ხელს უწყობს მის გაგრძელებას და ცინიკურად სარგებელს იღებს მისგან. დაე, გაანათლოს ღმერთმა მათი გულები და მათ მიერ დატრიალებული უბედურება დაანახოს“.

კარდინალი მათეო ძუპი: „უკრაინასთან დაკავშირებული მისია ბრძელდება“

მღვდელმთავარმა აღნიშნა, რომ უახლოეს ხანში არ გეგმავს უკრაინასა ან რუსეთში ვიზიტს, თუმცა, ამ ქვეყნების ხელისუფალთა მოთხოვნის შემთხვევაში, იგი მუდამ მზადაა გამგზავრებისთვის. ამჟამად კი ვატიკანის მისია უკრაინაში ჰუმანიტარულ დონეზე გრძელდება. „წმიდა საყდარი ყოველთვის მზადაა ხელი შეუწყოს ქვეყნიდან გახიზნულ გამიჯნულ ოჯახთა გაერთიანებას და ტყვეთა გაცვლას. მუდამ მზად ვარ ვენვიო კიევის ან მოსკოვის. ჩვენი მისიის ფარგლებში წარმატებით ხორციელდება საომარ მოქმედებათა ზონიდან გამოყვანილი ბავშვების მათ ოჯახებთან გაერთიანების პროგრამა“, - აღნიშნა კარდინალმა.



პაპი ფრანცისკე ოჯახური კონფლიქტების შესახებ



6 ივლისს უნმიდესი ფრანცისკე პროექტ „ლოცვის სკოლის“ მონაწილე ოჯახებს შეხვდა. „რა თქმა უნდა, ქარიშხლები ოჯახებშიც ხდება, მაგრამ ნუ დაგავიწყდებათ, რომ თქვენი ოჯახი ის გარემოა, რომელშიც თქვენი შვილები იზრდებიან. დღის დასასრულამდე თქვენ შორის მშიდობა უნდა დამკვიდრდეს. გადაუჭრელი კონფლიქტი ხვალ თქვენ შორის „ცივ ომად“ იქცევა, და ეს საშინელებაა. ბავშვები ხომ იმას უნდა ხედავდნენ, რომ დედას და მამას ერთმანეთი უყვართ“.

მილიონობით ქრისტიანი ძალადობის პირისპირ

7 ივნისს რომში, მალტის სუვერენული ორდენის, ატლანტიკური საბჭოსა და პაპის ურბანული უნივერსიტეტის თაოსნობით, გაიმართა კონფერენცია სახელწოდებით „რელიგიის თავისუფლება და კაცობრიობის მდგრადი განვითარება: ახალი გლობალური პლატფორმა“. წმიდა საყდრის სახელმწიფოებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობათა განყოფილების მდივანმა, მთავარეპისკოპოსმა პოლ რიჩარდ გალაჰერმა თავის სიტყვაში აღნიშნა, რომ დღეს მსოფლიოში დაახლოებით 365 მილიონი ქრისტიანი ძალადობის მსხვერპლია და რწმენის გამო იღვენება. გარდა ამისა, 2023 წელს მთელ მსოფლიოში საგრძნობლად გახშირდა თავდასხმები ტაძრებსა და ეკლესიის კუთვნილ საქველმოქმედო დაწესებულებებზე, როგორცაა სკოლები, სასწავლო ცენტრები და საავადმყოფოები. „რელიგიის თავისუფლება გადამწყვეტ როლს ასრულებს კაცობრიობის მდგრადი განვითარების საქმეში. ამიტომ სახელმწიფოთა ხელისუფლებებმა რელიგიურ ორგანიზაციათა და მორწმუნეთა მიერ მათ რელიგიურ შეხედულებათა საჯარო გამოვლინების უფლება უნდა უზრუნველყოს“.

სიდნეის მთავარეპისკოპოსი ავსტრალიაში აღმსარებლობის თავისუფლების ხელყოფაზე საუბრობს

სიდნეის მთავარეპისკოპოსის, ენტონი ფიშერის განცხადებით, ქვეყანაში საკანონმდებლო დონეზე აღმსარებლობის და სინდისის თავისუფლების ხელყოფა ხდება. CAN-ისთვის (Catholic News Agency) მიცემულ წერილობით ინტერვიუში იგი წერს: „ამიანის უფლებები ქვიშაზე აშენებული სახლის მსგავსია. ბოლოდროინდელი საკანონმდებლო ცვლილებები და პოლიტიკური ნაბიჯები, როგორც ფედერალურ, ასევე საშტატო და მუნიციპალურ დონეზე, პირდაპირ ეწინააღმდეგება რელიგიის თავისუფლებას. ბოლო წლებში განხორციელდა აბორტების სრული დეკრიმინალიზაცია. თუკი მედიცინის მუშაკს ამ პროცედურის ჩატარებას აღმსარებლობა უკრძალავს, იგი ვალდებულია მისცეს პაციენტს ოფიციალური მიმართულება სხვა სპეციალისტთან, რომელიც ამ პროცედურას ჩატარებს. აბორტის მონინააღმდეგეებს კანონმდებლობით ეკრძალებათ მდუმარე ლოცვა იმ კლინიკების სიახლოვეს, რომლებშიც აბორტები ტარდება. ლეგალიზებულია ევთანაზიაც. მართალია, ექიმს არ ევალება ამ პროცედურის ჩატარება, მაგრამ პალიატიური მზრუნველობის კათოლიკური დაწესებულებები ვალდებული არიან თავიანთ კლინიკებში განათავსონ სპეციალური ევთანაზიური ბრიგადები. განსაკუთრებით აღმამოთებელი ფაქტი მოხდა მაისში, როცა კანბერას მუნიციპალიტეტმა უკანონოდ განყვიტა ავსტრალიის კათოლიკე ეკლესიასთან დადებული არენდის ხელშეკრულება, რომლის თანახმად 1979 წელს ეკლესიას 120 წლით გადაეცა საავადმყოფოს შენობა. 3 ივლისს კანბერას კათოლიკური საავადმყოფო „გოლგოთა“ ოფიციალურად გადაეცემა ქალაქის ჯანდაცვის სამსახურს“.



კონკურსი დიდი მიზნებით და მცირედი ჩართულობით

„მრავალფეროვანი საქართველო - კათოლიკური კულტურული მემკვიდრეობის ნიშა რელიგიურ მოზაიკაში“ - ამ თემაზე ჩატარდა კონკურსი ქ. ქუთაისში, დასავლეთ საქართველოს კათოლიკეთა კავშირ „სავარდისა“ და არასამთავრობო ორგანიზაციის „განათლება და სამყარო“ ძალისხმევით, რომლის მიზანი იყო თემის სრულყოფილად გაცნობა მომავალი თაობებისათვის. გამოჩენილი, ღვანლმოსილი ადამიანების ნააზრევისა და ნამოქმედარის გახსენება, დღემდე უცნობი ფაქტების კვლევა და ისტორიული სამართლიანობის აღდგენა მადლიერი შთამომავლობის მუდმივი ვალდებულებაა, რომელიც აქტუალობას არასოდეს კარგავს და უდიდეს როლს ასრულებს სამყაროს სიკეთეში. ჩვენდა

გასაკვირად, 50-მდე სკოლის ასეულობით პედაგოგიდან მხოლოდ ხუთი აღმოჩნდა თანამშრომლობისა და გამონვევის მიღების სიმაღლეზე. მათმა ნაშრომებმა კომპეტენტური და სამართლიანი ყიურის წევრთა ხელში გაიარა და დამსახურების მიხედვით შეფასდა.

ჩვენს სურვილს, დაჯილდოების ცერემონია ძირძველი კათოლიკური ოჯახის დიდებული წარმომადგენლის, დიმიტრი ნაზარიშვილის სახლ-მუზეუმში გამართულიყო, თურმე მხოლოდ სიტყვიერი დაპირება არ ჰყოფნიდა და, მოსაწვევებით მისულები, გაგვგზავნეს ძეგლთა დაცვის სააგენტოში, რომელსაც წერილის ელექტრონული ვერსიის ნასაკითხად და პასუხის გასაცემად რამდენიმე სამუშაო დღე არ ეყო (პასუხს დღემდე ველოდებით).

კონკურსი გაიმართა „ინერის“ ოფისში, სადაც პირველ და მეორე საპრიზო ადგილს დამსახურებული მფლობელი არ გამოუჩნდა უამრავი მიზეზის, მათ შორის, ფაქტობრივი დამახინჯების, არასწორი, ისტორიკოსისათვის შეუფერებელი, ტერმინოლოგიის აღრევის, თემისადმი არასერიოზული დამოკიდებულებისა და მწირი თვალსაწიერის გამო. არადა, ეს ის ქალაქია, სადაც თვით იმერეთის მეფე სოლომონ მეორემ კათოლიკეებს განსაკუთრებული დამსახურებისათვის ეკლესიის ასაგებად მიწის ნაკვეთი უბოძა და ეს ტაძარი საუკუნეებია დგას; ეს ის ქალაქია, სადაც არსებობს კათოლიკეთა უბანი, მათ მიერ აგებული გამორ-



ჩეული არქიტექტურის მქონე ნაგებობები; ქალაქი, სადაც დაიბადა საქართველოს ჰიმნის მუსიკის ავტორი ზაქარია ფალიაშვილი, მსოფლიო დონის მხატვრები, ფელიქს ვარლამიშვილი და პეტრე ოცხელი, უდიდესი მოქანდაკე ვალერიან მიზანდარი; ქალაქი, რომელიც ამყობს სიმონ ყაუხჩიშვილით, იოსებ ოცხელითა და უამრავი სხვა დიდებული პიროვნებით, სადაც რამდენიმე გვარი მკურნალთა სავიზიტო ბარათად იქცა, და სადაც თითქმის ყველა სფეროში კათოლიკეები მოწოდების სიმაღლეზე იდგნენ.

მესამე საპრიზო ადგილით დაჯილდოვდა ქალაქის მე-40 სკოლის ისტორიის პედაგოგი ვახტანგ შარადენიძე, რომელმაც წარმოადგინა თემა: „ქუთაისის კათოლიკური მისიონი“; ხოლო კონკურსანტ ინგა კახიძის თემამ - „ქუთაისელ კათოლიკეთა კვალდაკვალ“ ყიურის „სიმპათიის პრიზი“ დაიმსახურა. ქუთაისის საკრებულოს წევრები, მოწვეული სტუმრები და მონაწილეები ინტერესით ისმენდნენ მოკლე, მაგრამ შინაარსიან და ემოციურ გამოსვლებს ინიციატივის ჩანაფიქრზე, მის განხორციელებასა და მნიშვნელობაზე. თუმცა საზეიმო დღეს ახლდა გულისტკივილიც, გამონვეული მავანთა მიერ ქართველ კათოლიკეთა ღვანლის დაუნახაობით... მაგრამ იყო გულითადი სიტყვებიც და მომავალში გვერდით დგომის დაპირებაც, თანამშრომლობის სურვილი და უკეთესი თანადგომის მზაობაც. ჩვენ კი იმით გავიმხნევეთ თავს, რომ „ვინც სიკეთით აღივსო, იმან კარგად დაიწყო, კარგი დასაწყისი კი საქმის ნახევარიაო“.

წყვილების შეხვედრა წეროვანში



2019 წლის 23 თებერვალს ჯვარი დავინერე გიორგი გოზალიშვილზე; გვაქვს შერეული ოჯახი, მე ვარ მართლმადიდებელი, დაახლოებით ოთხი წელია, რაც გავწევრიანდი ვალეს სამრევლოს ოჯახებში.

მსურს ვისაუბრო ოჯახების შეხვედრაზე, რომელიც 1994 წლიდან ყოველწლიურად იმართება წეროვანში. ორი წელია, რაც მასში ვმონაწილეობ. ყოველ წელს ველი ამ დღესასწაულს, რადგან მიხარია შეხვედრა სხვადასხვა კათოლიკური სამრევლოდან ჩამოსულ ოჯახებთან და სასულიერო პირებთან. იმართება საუბრები, ვერთვებით სახალისო და მნიშვნელოვან დისკუსიებში, არის დაგეგმილი სხვადასხვა აქტივობა, ოჯახების მუშაობა ჯგუფებში, საკუთარი გამოცდილებების გაზიარება, ლოცვა... რაც ჩემი ოჯახისათვის მნიშვნელოვანია.

2024 წლის 8 ივნისს კვლავ გაიმართა კათოლიკე

ოჯახების შეხვედრა თემაზე - „ლოცვის ძალა“. ერთ-დღიანი პროგრამა საოჯახო პასტორალური კომისიისა და INER Georgia-ს ორგანიზებით დაიგეგმა.

ამჯერადაც ვესტუმრე წეროვანს, ძალიან მნიშვნელოვანი იყო ეს დღე ჩემთვის, მე და ჩემს მეუღლეს აღგვინიშნეს ჯვრისწერის ხუთი წლის იუბილე. ბავშვებისათვის კი განსაკუთრებული, მხიარული დღე მოაწყეს ახალგაზრდული ცენტრის მოხალისეებმა. პროგრამის დასასრულს პატარებმა ჰაერში ბუშტები გაუშვეს.

მადლობა თითოეული ორგანიზაციის ხელმძღვანელს. მიყვარს ეს შეხვედრა, რადგან ყოველთვის თბილად და დიდი სიყვარულით გვხვდებიან; სურვილი მაქვს, ასეთი შეხვედრები დიდხანს გაგრძელდეს, იქიდან დაბრუნებულები მეტი მოტივაციით ვართ ოჯახშიც; მომწონს ყოველ წელს ხის დარგვის ტრადიცია, რადგან ეს ჩემში ბადებს ახალ იმედებს.



მონოდების სიხარული

მამა მაჩეის მღვდლად ხელდასმის 25 წლის იუბილესთან დაკავშირებით, მსურს გაგიზიაროთ მცირე მოგონება, რათა უფრო სრულად წარმოგიდგინოთ სამშობლოდან მოშორებით, თუმცა თავის მეორე სამშობლოში მოღვაწე მღვდელმსახურის პორტრეტი.

მამა მაჩეი პირადად ამ თხუთმეტი წლის წინ გავიცანი, როდესაც წმ. პეტრე და წმ. პავლე მოციქულთა ტაძარში გადმოვიდა. იგი წარმიდგინა იმჟამად თბილისში სტუმრად ჩამოსულმა მამა იან სნეჟინსკიმ და საუკეთესოდაც დაახასიათა. მამა იანის დიდი დამსახურებაა, რომ საქართველოში ვარშავის სასულიერო სემინარიის - *Redemptoris Mater* კურსდამთავრებულები მსახურებენ, ისევე როგორც ნეოკატეხუმენურ გზაზე მყოფი სხვა მამები, რომლებიც სხვადასხვა სამრევლოში ეწევიან მსახურებას. აქვე აღვნიშნავ, რომ დღეისათვის მსოფლიოს ხუთ კონტინენტზე ფუნქციონირებს 125 ნეოკატეხუმენური სემინარია *Redemptoris Mater*, რომლის ორი ათასზე მეტი კურსდამთავრებული ეწევა მღვდელმსახურებას.

წლებია მამა მაჩეი წინამძღვრობას უწევს თბილისის ქართულ, ინგლისურ, რუსულენოვან და კახეთის რეგიონის კათოლიკურ სამრევლოებს, გარდა ამისა, იგი თბილისის ნეოკატეხუმენური სამრევლოების პრეზბიტერიცაა. მიუხედავად მსახურების მეტად დატვირთული გრაფიკისა, მამა მაჩეი პასტორალურ მსახურებაშიც საკმაოდ აქტიურადაა ჩართული. თუმცა ახლა სულ სხვა კუთხით მინდა მისი წარმოდგენა.

2014 წელს მთელ მსოფლიოში აღინიშნა პირველი მსოფლიო ომის დაწყების 100 წლისთავი, ეს იყო გახსენება იმ ტრაგიკული მოვლენისა, რომელმაც შეცვალა მთელი სამყარო. ამ ომმა, დიდ ადამიანურ მსხვერპლთან ერთად, ევროპული იმპერიების მონობაში მყოფ მრავალ ქვეყანას მოუტანა დამოუკიდებლობა, მათ შორის, საქართველოსა და პოლონეთს. ამ ისტორიულ თარიღთან დაკავშირებით, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ფართომასშტაბიანი საერთაშორისო სამეცნიერო სიმპოზიუმი ჩავატარეთ. ძალიან მინდოდა, რომ პოლონეთის დამოუკიდებლობის აღდგენასთან დაკავშირებითაც ყოფილიყო მომხსენებელი. თხოვნით მივმართე მამა მაჩეის, ისიც დაუყოვნებლივ დამთანხმდა და შემომთავაზა მოხსენების სათაურიც: „უშულო მონაწილის მიერ აღქმული სასწაული ვისლაზე“. „სასწაული ვის-

ლაზე“ - ასე უწოდეს პოლონელებმა 1920 წლის 12-15 აგვისტოს საბჭოთა რუსეთის არმიის განადგურებას. გადამწყვეტი ბრძოლა მდინარე ვისლაზე მარიამის ზეცად ალყვანების დღესასწაულს დაემთხვა და გმირმა პოლონელმა მეზღოლებმა ეს გამარჯვება მანამდე დაუმარცხებელ ბოლშევიკურ არმიაზე სწორედ ღვთისმშობლის მეოხებას მიანერეს. მამა მაჩეის ბაბუა, რომელიც იმხანად სრულიად ახალგაზრდა მოხალისე გახლდათ და უშუალო შემსწრე იყო პოლონელების გმირული გამარჯვებისა, დაწვრილებით უამბობდა მოზარდ მაჩეის ამ ბრძოლების ამბავს და, რაც მთავარია, იმ სასწაულს, რომელსაც სამშობლოს დამცველ მოხალისეთა შენაერთებმა წმიდა ღვთისმშობლის მეოხებით მიაღწია. ბაბუის მონათხრობი ისეთი შთამბეჭდავი გახლდათ, რომ მამა მაჩეის მთელი ცხოვრების მანძილზე ალებეჭდა გონებაში პოლონეთის ისტორიის ეს გადამწყვეტი ეპიზოდი და ღვთისმშობლის წილი ამ გამარჯვებაში. და ჩემს შეთავაზებაზე სამეცნიერო სიმპოზიუმში მონაწილეობის შესახებ მისი სურვილი გახლდათ, რომ სწორედ საკუთარი ბაბუის შთაბეჭდილებებზე დაყრდნობით მოეთხრო აუდიტორიისათვის „ვისლას სასწაულის“ შესახებ. თხრობის მუხტი და ემოცია რომ არ დაკარგულიყო, ჩემი თხოვნით, მამა მაჩეიმ მოხსენება მშობლიურ ენაზე წაიკითხა, ცხადია, სინქრონული თარგმანით. აუდიტორიამაც ზუსტად დაიჭირა ის ემოცია, რისი გადმოცემაც სურდა ავტორს „ვისლას სასწაულის“ შესახებ. შემდგომ მოხსენება გამოქვეყნდა კრებულში „საქართველო და ევროპა“. მისი ელექტრონული ვერსია ფართო საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომია ინტერნეტსივრცეში.

ცხადია, მამა მაჩეი დაფასებულია როგორც საქართველოში, ისე პოლონეთში. ამას ადასტურებს პოლონეთის საელჩოს მიერ ორ ქვეყანას შორის მეგობრობის განმტკიცებაში შეტანილი წვლილის გამო მისი დაჯილდოება. მამა მაჩეი მისთვის დამახასიათებელი თავმდაბლობით ცდილობს ჩრდილში იდგეს და თავი ქრისტიანულ მსახურებას მიუძღვნას. თუმცა, მოკრძალების მიუხედავად, ქვაზე დადებული მადლი არ იკარგება და მამა მაჩეი, მსახურებასთან ერთად, ნებსით თუ უნებლიეთ, ქართულ-პოლონური მეგობრობის დესპანადაც გვევლინება.

ნუმბარ ბარდაველიძე



მამა მაჩეი, როგორ დაიბადა თქვენი მონოდება?

მღვდლობისაკენ მონოდება ვიგრძენი ბავშვობაშივე, პირველი ზიარების შემდეგ, იმ დროს მინისტრანტი ვიყავი, თუმცა გავუბოდი ამაზე ფიქრს. ოცი წლის ასაკში მქონდა დიდი ეგზისტენციალური კრიზისი, უნივერსიტეტში სწავლა უაზრობად მიმაჩნდა; გავწყვიტე ურთიერთობა შეყვარებულთან; არ ვიცოდი, რა მექნა, რისთვის ვცოცხლობდი. იმ დროს სულიწმიდამ გამახსენა კატეხისტთა სიტყვები, რომ იესო ქრისტე მოკვდა ჩემთვის, აღსდგა მკვდრეთით ჩემთვის, რომ მე მაქვს საუკუნო სიცოცხლე; დიდი სიხარულით ამევესო გული, მუდმივად ვესაუბრებოდი ქრისტეს... და გადაწყვიტე: თუ ღმერთის ნების აღსრულება და მთელი სიცოცხლის მისთვის შეწირვა იძლევა ნამდვილ ბედნიერებას, მზად ვარ გავხდე მღვდელი. ერთი წელი ვსწავლობდი პედაგოგიურ უნივერსიტეტში, მაგრამ უფრო და უფრო ვფიქრობდი სემინარიაზე, სადაც შევედი კიდეც 1990 წელს და დავამთავრე 1999 წელს.

გაიხსენეთ ყველაზე ლამაზი მომენტი ამ ოცდახუთი წლის განმავლობაში, რისთვისაც მადლობას გადაუხდით უფალს.

ამ 25 წლის განმავლობაში ყველაზე ლამაზი მოვლენა იყო მომლოცველობა ჩემი სამრევლოს ახალგაზრდებთან ერთად კანადის ქალაქ ტორონტოში და რომის პაპთან შეხვედრა. ყოველი დღე სავსე იყო ღვთის სიყვარულით, სიურპრიზებით, სიხარულით... განსაკუთრებით აღვნიშნავდი ევქარისტიას ჩვენს ჯგუფში, აგრეთვე ევანგელიზაციას, მონოდების ძიებას ახალგაზრდების მიერ, სხვადასხვა შეხვედრას, ლაშქრობას, გალობებს. რვა დღის განმავლობაში ტორონტოში მივიღე დიდი სულიერი საკვები.

რას ფიქრობთ კათოლიკე ეკლესიის მდგომარეობაზე საქართველოში?

თითქმის 18 წელია, რაც ვმსახურებ საქართველოში, ორ-ნახევარი წელი - მესხეთში და თხუთმეტ-ნახევარი - თბილისში, კახეთსა და გორში. ეკლესიის მდგომარეობა არ არის სახარბიელო,

რთულია: ერთი მხრივ, მტრულად განწყობილი მართლმადიდებელი ეკლესია, მეორე მხრივ, კომუნისტების 70-წლიანი პერიოდი. ცოტა თუ ცხოვრობდა ნამდვილ რწმენაში. ამიტომ სუსტი რწმენის მქონე მრევლის წევრები დავკარგეთ. დარჩა მცირე მრევლი, მაგრამ ისინი უკვე არიან მყარი კათოლიკეები. სხვა ფაქტორი არის სეკულარიზაცია, რომელიც შემოდის საქართველოში ინტერნეტის მეშვეობით. ინტერნეტი, ძირითადად, გვთავაზობს ამქვეყნიურ ბედნიერებას, რომელსაც ვპოვებთ საერო ცხოვრებაში. სამწუხაროდ, მრავალი ოჯახი ვერ გადასცემს რწმენას, ამიტომაც ახალგაზრდები (და არა მხოლოდ ისინი) გაებმებიან ამ მახეში. ეს პრობლემა, რა თქმა უნდა, არ დგას მხოლოდ საქართველოში, არამედ კიდეც უფრო მძიმეა ევროპაში. ეკლესიის ამ რთულ სიტუაციაში ჩვენი ძალა პატარა საკრებულოშია, სადაც ყველა იცნობს ერთმანეთს, შესაძლებელია, ვიყოთ ერთი ოჯახი, მრევლის წევრები დაეხმარონ ერთურთს. სამწუხაროდ, ეკლესიის გარეთ ვცხოვრობთ როგორც ჩვეულებრივი ნაცნობები ან მეგობრების წრე და არა როგორც მორწმუნეთა საკრებულო. ჩემი აზრით, ძალიან მნიშვნელოვანია ზრდა რწმენაში, ზრდა მადლში, რათა გავხდეთ ნათელი სხვებისთვის, განსაკუთრებით, ნათესავთათვის.

რა შეიძლება იყოს თქვენი გზავნილი ჩვენი კათოლიკური საკრებულოების ახალგაზრდებისათვის?

ძვირფასო ახალგაზრდებო, ნუ დაკარგავთ თქვენს ლამაზ, ძვირფას წლებს ამაოდ; ეს არ აგივსებთ გულებს; მთელი ძალით ეძიეთ ჭეშმარიტება, იცხოვრეთ მის მორჩილებაში და იქნებით ბედნიერნი.

ესაუბრა მამა მატრიელე ბრანდინი დასასრული, დასაწყისი იხილეთ „საბბ“ #6 (342)



ნუთუ ეს არის ტოლერანტობა?



ა.ნ. 4 ივნისს რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტომ ახალი ალბომის - „საქართველოში მოქმედი საკულტო ნაგებობები 2023 წლის მდგომარეობით“ პრეზენტაცია გამართა. ცხადია, ნაშრომი დასაფასებელია, როგორც განეული ღვანლისა და მოვალეობის კუთხით, ასევე მიღწეული შედეგით: 760-გვერდიანი ალბომი, სადაც წარმოდგენილია საქართველოს კუთვნილ ტერიტორიაზე არსებული რელიგიური ნაგებობები, მათ შორის, ოკუპირებულ ტერიტორიებსა და ქალაქ თბილისში (რაც უკვე წარმოდგენილი იყო წინა წიგნებში); მართლაც რომ ძვირფასი და ამბიციური ნაშრომია! მადლობა უნდა ვთქვათ? რასაკვირველია!

ზოგი მაღლიერი იქნება მთელი გულით, ზოგი კი პირიქით... არც მთელი გულით და არც გონებით! საინტერესოა ვიცოდეთ, რა პრინციპით შეიქმნა ეს ნაშრომი, რომელიც უდავოდ გახდება დისკუსიის საგანი; წიგნი იწყება წინასიტყვაობით, რომელშიც გაცხადებულია ჩვეულებრივი პრინციპი ან აქსიომა, რომ „საქართველო ტოლერანტული ქვეყანაა“... (იხ. გვ. 3), პრინციპი, რომელიც ვერ ამართლებს ყოველთვის და ყველასთვის...

გავიხსენოთ ჩვენი ქალაქების ახალი უბნები, რამდენად იქნება შესაძლებელი 100 წლის შემდეგ დღევანდელი სიამაყით წარმოვადგინოთ ძველი უბნები, როგორც ტოლერანტობის მაგალითი. წიგნი დამსახურებულად წარმოადგენს ფოტოსურათე-

ბით ასახულ ვითარებას, როგორც ეს სინამდვილეშია, როგორც ფოტო და ღია ბარათების ალბომს, მაგრამ სწორედ ამ მიზეზით საჭიროებს კომენტარებს, დისკუსიებს და მომავალში, იმედია არცთუ შორეულში, ისეთ გადამწყვეტილებებს, რომლებიც აქ წარმოდგენილი რეალობის კორექტირებას მოახდენს.

მოდით, დავინყოთ ამ კითხვით: არის თუ არა აქ წარმოდგენილი ყველა ნაგებობა, განსაკუთრებით ახალი, აგებული ბოლო 30 წლის განმავლობაში, იმ პრინციპის ნამდვილი გამოხატულება, რომ „საქართველო ტოლერანტული ქვეყანაა“... ან იქნებ ამის ნაცვლად, ხშირად, ყოველ შემთხვევაში რელიგიური უმცირესობისათვის, კომპრომისის, ბრძოლის, უსამართლობის, შეუწყნარებლობის; როცა ფოტოებს ათვალაიერებ, ყველაფერი ლამაზია, იქვე მინანერს კითხულობ და ყველაფერი ნათელი, მარტივი, ცალსახაა. ასეა სინამდვილეში?

მაგალითად, საუბარია იეჰოვას მოწმეთა 74 სახლზე (გვ. 747-760), ყველამ კარგად ვიცით და გვახსოვს, რამდენი ძალისხმევა, გაუგებრობა, ბრძოლა მოუხდათ მათ... რის საფასურად დაუფჯდათ და დღესაც კი, მიუხედავად იმისა, რომ „ტოლერანტულ“ ქვეყანაში ცხოვრობენ, ყველაფერი არც ისე მშვიდობიანია; რა თქმა უნდა, წიგნის მიზანია წარმოდგინოს მათი არა იზოლირებული, სხვადასხვა კონტექსტში არსებობა, საპატრიარქოს

ეკლესიების გვერდით... და მაინც ჩნდება კითხვა: ყველა თანაბარი ღირსებით და თანასწორი იურიდიული ნიშნით განიხილება?

ნიგნი გვაცნობს 294 მეჩეთს (გვ. 611-698), მათგან არცთუ მცირე ნაწილი ჯერ კიდევ ელის სამუშაოს დანეებას... ფულის ნაკლებობის გამო? ნებართვის გაუცემლობის გამო? რელიგიურ ნინამძღოლთა მხრიდან უყურადღებობის გამო? მართლმადიდებლური ეკლესიების ფოტოებს შორის ვხედავთ იმ ეკლესიებსაც, რომლებიც V საუკუნიდან დღემდე არსებობენ: ზოგიერთი უნიკალური და დიდებული არქიტექტურის, ზოგიც მხოლოდ განმეორებადი ხელნერით და არავინ იცის, რა ნებართვით და რა მიზნით აგებული, მათ შორისაა ეკლესია (გვ. 595) თანამედროვე მახასიათებლებით, რომელიც მოიცავს XVI საუკუნის ისტორიას, მაშინ როცა სხვა რელიგიების არსებობა შემოიფარგლება მხოლოდ ბოლო რამდენიმე საუკუნით. მაგრამ ასეა სინამდვილეში?

მართალია XIII საუკუნეში მოხდა მცხეთისა და რომის ეკლესიას შორის გაუცხოება, მაგრამ, რა თქმა უნდა, კათოლიკე ეკლესიის არსებობა XIII საუკუნის შემდეგაც გაგრძელდა; ამას მოწმობს ივლიტის ეკლესია და ახალციხის სხვა ეკლესიები; როდესაც ვეცნობით მორწმუნეთა რაოდენობას ყოველ რელიგიურ ნაგებობაში (გვ. 9), შეიძლება ითქვას, რომ ნიგნი მოყვანილი პროპორციების მიხედვით, ზოგიერთ ეკლესიასა და რელიგიას ის საკმარისზე მეტი აქვს, მაშინ როცა სხვას უფრო მეტი სჭირდება; ასეა სინამდვილეში?

ცხადია, კათოლიკე ეკლესიის თხოვნა სხვა საკულტო ნაგებობის საჭიროების შესახებ შეიძლება არც კი გახმაურდეს, თუკი მართლმადიდებლური ეკლესიის პროცენტულობას შევადარებთ, აქვე გავიხსენებ, რაც სოფ. შრომასთან დაკავშირებით განაცხადეს, რომ ჯერ მართლმადიდებლური ეკლესია უნდა აშენდეს და შემდეგ კათოლიკური, კიდევ ერთი მაგალითი ქუთაისთან დაკავშირებით, როგორ შეიძლება დარწმუნებული ვიყოთ ახალი კათოლიკური ეკლესიის აგების მოთხოვნის რეალურ შესაძლებლობაში, რაც მიუღწეველია: სამწუხაროდ, ეს უკვე მოხდა და არა მხოლოდ ქუთაისში. საინტერესოა ის ფაქტიც, რომ 559-ე გვერდზე არის მართლმადიდებლური სამლოცველოს ფოტო... რატომ არ შეიძლებოდა აქვე ყოფილიყო გორის, ქუთაისისა და სხვა სამლოცველოთა ფოტოები?...

წყაროების, ბიბლიოგრაფიისა და რედკოლეგიის ნევრთა სახელების მიუთითებლობა, რასაც უთუოდ უნდა ითვალისწინებდეს ნიგნი, რომელსაც პირველობის პრეტენზია აქვს ამ ჟანრში, თითქოს გამართლებულია იმით, რასაც მე-2 გვერდზე

ვკითხულობთ: „ალბომი შედგენილია რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს მიერ საქართველოში მოქმედი რელიგიური ორგანიზაციებისაგან მიწოდებულ მასალებზე დაყრდნობით“. ამიტომ, ამ განცხადების საფუძველზე ჩანს, თითქოს კათოლიკე ეკლესია თავად აღიარებს, რომ კათოლიკური ეკლესიები: უდემი (გვ. 330), ივლიტაში (გვ. 308) (XIX ს?), გორში (გვ. 135), ქუთაისში (გვ. 345), ბათუმში (გვ. 538) ამჟამად მართლმადიდებლურია; როდის განაცხადა ეს კათოლიკე ეკლესიამ? როდის გააჩნდა საქართველოში კათოლიკე ეკლესიას ასეთი დიდი იურისდიქციის ძალა?...

ყველაზე რთულად მისაღებია ის ფაქტი, რომ, ერთი მხრივ, ასეთი დაფარული ემპაკობით და, მეორე მხრივ, ასეთი სიმარტივითა და ზედაპირულობით არის მოცემული მართლმადიდებელ ეკლესიათა შორის ის ეკლესიები, რომლებიც სინამდვილეში თავიდანვე კათოლიკური იყო, ამგვარად ხომ იშლება ის დიდებული ისტორია, რომელიც ადამიანთა ერთგული, თავდაუზოგავი შრომითა და ღვაწლით შეიქმნა საზოგადოების ყველა სფეროში, ქრისტიანთა დევნის მძიმე პერიოდშიც კი სახარებისადმი ერთგულების დიადი მაგალითებით, სხვა ეკლესიებისა და რელიგიების მიმართ სიახლოვისა და პატივისცემის გამოხატულებით; ალბომში წარმოდგენილია ლათინური და სომხური წესის კათოლიკური ეკლესიის 30 ფოტო (ასირიული არ არის დასახელებული, რადგან ის არის თბილისის საკულტო ნაგებობების ნიგნი).

რა თქმა უნდა, მსგავსი პრობლემები წარმოიქმნება სხვა ეკლესიებისა (იხ. სომხური სამოციქულო ეკლესია...) და რელიგიებისათვის (მეჩეთი ვალეში, ახალციხეში...); მაშ, როგორ შეიძლება განვაცხადოთ, რომ ეს ნიგნი ემსახურება ისტორიას, ჭეშმარიტებას, სამართლიანობას, საქართველოს? რომ წარმოადგენს და აგრძელებს ამ ქვეყნის ტოლერანტულ ტრადიციას? ერთადერთი სიმართლე ისაა, რომ იგი ასახავს რეალურ სიტუაციას, რეალურს იმ უსამართლობის გამო, რომელსაც ის გვიმაღლავს ხელისუფლების მხარდაჭერითა და თანხმობით.

მრავალ რელიგიურ ნაგებობაზე განთავსებული აბრევიატურა კ.მ.დ (კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები) ვილაცამ ამგვარად განმარტა: კათოლიკური, მიტაცებული ძალადობით. ცხადია, ის იქნებოდა კათოლიკე, რომელმაც ალბათ ვერც გააცნობიერა, რამდენად მცდარი იქნებოდა ეს ინტერპრეტაცია, თუ მას ასე წაიკითხავდა, მაგალითად, 338-ე გვერდზე განთავსებულ ბაგრატის ტაძრის ფოტოზე ქუთაისში. ჩვენ შეგვიძლია ვაპატიოთ მას ეს ემპაკური ინტერპრეტაცია, რომელიც მან საკუთარი და სხვა მრავალი კათოლიკეს გულისტკივილის გამო გააკეთა!



სახარების სიხარული ყვავილების მეშვეობით ლიტურგიაში

„თქვი, მეტი ყვავილებით“ - ამ ლამაზ გამოთქმას ოდესღაც სარეკლამოდ იყენებდნენ. როდესაც გვიყვარს, როდესაც მადლობას ვუხდით და მაშინაც, როდესაც ვგლოვობთ, ყოველთვის ყვავილებს ვუძღვნი. ყვავილების ენა ჩვენი ცხოვრების მნიშვნელოვანი მომენტების მეგზურია და ამიტომაც, შეუძლებელია ეს ენა აკლდედეს საეკლესიო დღესასწაულებს, ნიშნებს, რადგანაც ის შეუცვლელი გარემოა რწმენის განახლების, დამონებისა და განმტკიცებისათვის. ყვავილი, ბალახი, დიდებული რამ არის, მაგრამ ის ძალიან მყიფეა: საკმარისია მცხუნვარე მზე და ბალახი ხმება, საკმარისია კოკისპირული წვიმა და ყვავილი მინას სწყდება. ჩვენი ცხოვრებაც მშვენიერია, და რა ცოტა კმარა მის გასანადგურებლად! ხატოვნად შენიშნა ესაია წინასწარმეტყველმა, რომ ყვავილები და ბალახი ადამიანის მყიფე და ხანმოკლე ცხოვრების სიმბოლოა: „ყველა ხორციელი ბალახია და ყოველი მისი მადლი მინდვრის ყვავილივი-

თაა“ (ეს. 40,6). თუმცა, ამან სასონარკვეთამდე არ უნდა მიიყვანოს ადამიანი, რადგან ადამიანური უძღურების წინაშე დგას ღმერთის ერთგულება: „ხმება ბალახი, ჭკნება ყვავილი, ჩვენი ღმერთის სიტყვა კი საუკუნოდ დგას“ (ეს. 40, 8). ლუკა მახარებელი შეგვახსენებს, რომ თუკი ღმერთი ასე ზრუნავს სუსტ, უმწეო ყვავილებზე, რომლებიც დღეს არსებობენ და ხვალ კი ხმებიან, განა უფრო მეტად არ იზრუნებს ჩვენზე, თავის შვილებზე (შდრ. ლუკა 12, 22-34).
უძველესი, კონსტანტინეს შემდგომდროინდელი ტაძრების მოზაიკაში დიდ ადგილს იკავებს ბუნების სურათები. ხშირად მიმართავენ ბალახისა და მცენარეთა მრავალფეროვან ელემენტებს, როგორც მაგალითად რომში, წმ. კლემენტეს ბაზილიკის აფსიდაზე გამოსახულ ჯვრის ხეზე, საიდანაც აკანტუსის (მცენარე) სპირალები გამოდის და ცის ფრინველებს თავშესაფარს სთავაზობს. პირველი ყვავილი, რომელმაც თავისი ფურცლები გაშალა, მარიამის

წიაღია; ღვთისმშობლისადმი მიძღვნილ ხალხურ საგალობლებში მას შრომანს უწოდებენ. სამყარო ყვავილების გარეშე არის ბოროტებისა და ცოდვის ადგილი, სადაც ღმერთი არ იმყოფება.
ნებისმიერი ეკლესიის ზღურბლზე გადაბიჯება არის მოწვევა, რათა შევიგრძნოთ უფლის ცოცხალი მყოფობა და დაგტკბეთ მით. ზოგჯერ გვეჩვენება, რომ ჩვენს ეკლესიებში უქნარობა და ცუდი გემოვნება გაბატონებულია; ხშირად ყვავილებსაც ეტყობა მოუფლელობა, ისე უსახურად გამოიყურებიან.
იქნებ დაგვესვა საკუთარი თავისთვის ეს კითხვები: უსარგებლო ნარჩენებია ყვავილები, ან უბრალო საქებარი ლოცვა შემოქმედისადმი? რატომ ვიყენებთ ყვავილებს ეკლესიაში ლიტურგიისას? თუნდაც უბრალო ყვავილის მიძღვნაც კი მხოლოდ იმიტომ, რომ ის ღვთის საჩუქარია, არასოდეს იქნება უსარგებლო ნარჩენი, ზედმეტი ხარჯი. მიძღვრის ცხოვრება და სწავლება იყო და რჩება უსასრულო, უან-



გარო მსხვერპლად, ღმრთისა და სხვების მიმართ მზრუნველი ყურადღების მაგალითად; იმის სტიმულად, რომ ყველაზე სანუკვარ რეალობას სურნელოვანი ნარდი აპკუროს. თუკი ვიპოვით მის კვალს, ვინც პირველმა გულით შეგვიყვარა, მაშინვე გაცხადდება ქრისტიანის თვისება - უანგარო მიძღვნა. სწორედ ეს არის ლიტურგიის აზრიც, მიზანიც, ღმრთაებრივ-ადამიანური ქმედება, ღმერთისა და მისი ხალხის შეხვედრა, გასაოცარი გაცვლა შემოქმედსა და ქმნილებას შორის. ლიტურგიის ერთადერთი მიზანია ღმერთის განდიდება და ჩვენი მადლცხებულება, განღმრთობა. მას არ სჭირდება ჩვენი ქება, როგორც ნათქვამია რიგითი ჟამის X კვირის შესავალში: „შენ ჩვენგან არ ითხოვ ქებას, არამედ შენი ძვირფასი ძღვენის გამო მოგვიხმობ მადლშენიერვისთვის; ჩვენი კურთხევის საგალობლები შენს სიდიადეს როდი განადიდებენ, არამედ მაცხოვრებელ მადლს მოგვიპოვებენ“. ამრიგად, წირვის სილამაზეზე ზრუნვა პასუხობს მიზანს, რომ უფრო მეტად ავამაღლოთ უფლისადმი სრულყოფილი ქებადიდება; თითოეული ქრისტიანული თემი და, შესაბამისად, ყოველი მორწმუნე უნდა ზრუნავდეს, რომ გამოიყენოს ყველანაირი ენა, რასაც კი უსასრულო ღმრთაებრივი სილამაზის გამოხატვა შეუძლია:

ყვავილის უბრალო სრულყოფილება თავისთავად გალობაა შემოქმედისადმი, სიხარულნარევი განცდა დაკარგული ედემის ბაღსა და იმ დიდების ბაღს შორის, რომელიც აღდგომით მოვიპოვეთ. მრავალფეროვანი და მრავალგვარი ყვავილები ასევე შეგვახსენებს, რომ ეკლესია საყოველთაოა და ის არ უნდა გახდეს ერთფეროვანი, ყოველთვის აჩვენებდეს ყოველი მორწმუნისა და ეკლესიის ძღვენთა სილამაზის ერთიანობას. სწორედ ამიტომ ყვავილების გამოყენება ლიტურგიაში ბიბლიურ-თეოლოგიურ ძრილში უნდა იყოს განხილული; არა უბრალოდ ავე-

ჯის, გაფორმების, აპარატურის დანამატად, არამედ გამოხატვა, ყურადღების მიქცევა იმაზე, რაც აღინიშნება, იმ ადგილსა და დროზე, როდესაც აღინიშნება.

საკურთხეველი ქრისტეს სიმბოლური სახეა. ის არის სამსხვერპლოსა და შესანიშნავის ცენტრალური ადგილი. ამიტომაც, ყვავილებით გაფორმებისას, დიდი სიფრთხილე უნდა გამოვიჩინოთ, რათა საკურთხეველი არ გადაიქცეს რაიმე საგნის სადგამ ადგილად, თუნდაც დროებით. ამ ადგილის ღირსება და მისდამი მონივნება მოითხოვს, რომ მასზე მხოლოდ ის ნივთები განლაგდეს, რაც მოცემულ დროს წირვის აღსავლენად არის საჭირო. სჯობს, ყვავილებიც განთავსდეს არა საკურთხეველის მაგიდაზე, არამედ მის გარშემო. ნებისმიერ შემთხვევაში, ყოველთვის გულისყურით უნდა შევარჩიოთ რაოდენობა და ზომა (რომაული წირვის ზოგადი დებულება, OGMR 306). თუკი ნებსები კრძალავს საკურთხეველის მაგიდაზე მათ განთავსებას, ეს იმისთვისაა, რომ საკურთხეველი არ იქცეს „სადღესასწაულო ფურშეტად“.

ამბიონი არის განსაკუთრებული ადგილი, განკუთვნილი ღმრთის სიტყვის წარმოსათქმელად (ნებისმიერი სხვა სახის კომუნიკაცია



უნდა გაცხადდეს სხვა ადგილიდან). ისევე, როგორც საკურთხეველის შემთხვევაში, აქაც მისი ყვავილებით მორთვა ადგილის სიდიდით უნდა შეფასდეს. ყვავილების დიდი თაიგული, რომელიც ხელს უშლის ამბიონის ხილვადობას, სრულიად უადგილოა (შდრ. OGMR 309).

ემბაზი ქრისტიანი ახალი სიცოცხლის ძღვენზე მიუთითებს. ამიტომაც, ყველა სადღესასწაულო წირვისას, ის შესაბამისი ყვავილებით უნდა გაფორმდეს, განსაკუთრებით ნათლობისა და ჯვრისწერის საიდუმლოს დროს აღვლენილ წირვებზე.

ძღვენთა შესანახი ადგილი (ტაბერნაკულუმი), რომელიც უდიდესი მონივნების ადგილია, მუდმივადაა განთავსებული, თუ არ არის ლამაზი და მოვლილი ყვავილებით დამშვენებული, მაშინ უბრალო ვარდიც კი საკმარისი იქნება! კათოლიკური ტრადიციის მიხედვით, ყოვლადწმიდა ევქარისტის თაყვანისცემა პროცესიის ფორმითაც გამოიხატება; გავიხსენოთ უფლის ხორცისა და სისხლის დღესასწაულზე ყვავილების მიმობნევა ან ყვავილების ხალიჩა.

ეკლესიის მთავარი კარი მორწმუნეთა საკრებულოში შესვლაზე მიანიშნებს, შესაბამისად, შეგვახსენებს, რომ ის მათი კუთვნილებაა. სადღესასწაულო წირვებზე,



მაგალითად, როდესაც აღესრულება წმიდა საიდუმლოებები, ფართოდ გაღებული კარი სიხარულისა და მისალმების ნიშანია. ამ დროს საჭიროა ყვავილებით მისი გალამაზება და სადღესასწაულოდ მორთვა.

გამოსახულებები (ჯვარი, ქანდაკებები, ხატები...) შეიძლება დამშვენდეს ყვავილების დეკორაციებით, ოღონდ საკურთხეველს, ამბიონსა და ემბაზს არ უნდა გაუნიონ მეტოქეობა.

სამგლოვიარო ცერემონიაზე **სასახლე** ირთვება ყვავილებით, მაგრამ ზომიერად; თუკი ბევრი თაიგული დაგროვდება, ეკლესიის

კარებთან უნდა განთავსდეს და არა პრესბიტერიუმში; სასახლის გვერდით უნდა დაინთოს კანდელი.

ჯვრისწერის ადგილი ელევანტურად უნდა მოირთოს ყვავილებით, მოერიდეთ პომპეზურობას, ზედმეტ სიჭრელესა და სცენურობას.

ლიტურგიული დროები: ლიტურგიული წელიწადი იხსნება, როგორც წყალობის ჟამი, რადგან ის საშუალებას გვაძლევს განვიხილოთ ქრისტეს ცხოვრების საიდუმლოებები როგორც ხსნის მოვლენები დღეს. ყვავილებით მორთვის ხელოვნება უნდა შეესაბამებოდეს ლიტურგიული დროის, დიდდღესასწაულებისა და დღესასწაულების რიტმს, მათთვის დამახასიათებელ თავისებურებებს.

ადვენტის ჟამს ეკლესია იესოს მოლოდინში ცხოვრობს. ეს სიხარულის მოლოდინის ჟამია, რომელიც, მართალია, სინანულის მკაცრ ელფერს არ ატარებს, მაგრამ მაინც ითხოვს, რომ ფრთხილად შეირჩეს ლიტურგიის ენა, მისი გამოხატველი ფორმები. საკურთხეველი უნდა გაფორმდეს ამ დროისათვის შესაფერისი ყვავილებით (შდრ. OGMR, 305). თუ ადვენტის გვირგვინი დაიდება, მაშინ საჭირო არ არის პრესბიტერიუმის გაფორმება ყვავილებით.

წმიდა ლამის ცისკრიდან მთელი საშობაო პერიოდის მანძილზე (ნათლისღების დღესასწაულამდე)



საგანგებო ჩანართი

ლიტურგია აღვსილია ღვთის ძის შობის სიხარულით. ყოველი ეკლესიის პრესბიტერიუმში იდგმება ყრმა იესოს ფიგურა, ხოლო დარბაზში, რომელიმე ადგილზე ეწყობა საშობაო ბაგა. ამ დროს ლამაზად გაფორმებული ყვავილები სიხარულის ნიშანია. თუმცა, საჭიროა ყველაფერი ჰარმონიულად და გემოვნებით იყოს მოწყობილი, განსაკუთრებით საშობაო ნაძვის ხე და განათება. ეკლესია არასდროს არ უნდა დაემსგავსოს საშობაო მაღაზიას!

დიდმარხვის ჟამს ეკლესია მონანიებით ემზადება აღდგომის სამღვდელის აღსანიშნავად. ამ პერიოდში აკრძალულია როგორც საკურთხევლის, ასევე დარბაზის შიდა ნაწილის ყვავილებით მორთვა. თუმცა გამონაკლისია სიხარულის კვირა - *la domenica Laetare*, (დიდმარხვის IV კვირადღე), დიდდღესასწაულები და დღესასწაულები.

სააღდგომო ცისკრიდან აღდგომის ჟამი გრძელდება სულთმოფენობის დღესასწაულამდე, ქრისტიანული სარწმუნოების ცენტრალური საიდუმლოს: უფალ იესოს აღდგომისა და ეკლესიისათვის სულიწმიდის მადლის მინიჭების აღნიშვნით. ყვავილები,

თავიანთი სილამაზითა და დიდებულიებით, უნდა ამშვენებდნენ ღმრთისმსახურების დარბაზის ყველა ადგილს, დანყებული პრესბიტერიუმიდან, სადაც საპასეჟო კანდელია მოთავსებული, სულთმოფენობამდე, რაც ასევე მოითხოვს სათანადო გაფორმებას ყვავილებით.

ლიტურგიული წლის რიგით დროს საჭიროა ყვავილების განთავსება „რიგით“ დროის შესაბამისად, გარდა დიდდღესასწაულები-სა (წმ. პეტრე და წმ. პავლე, ღვთისმშობლის მიძინება...), უნდა გვახსოვდეს, რომ ქრისტიანული საკრებულოსთვის ყოველი კვირადღე აღდგომის ტოლფასია.

რამდენიმე ძირითადი კრიტერიუმი: ლიტურგიის დროს ეკლესიის ყვავილებით გაფორმებისას, ზემოაღნიშნული მიზნებიდან გამომდინარე, საჭიროა კეთილშობილური უბრალოება და არა პომპეზურობა (იხ. OGMR, 292). კომპოზიცია თავისუფალი უნდა იყოს ზეგავლენისაგან. სჯობს თავიდან ავიცილოთ ზედმეტად მორთული დეკორაციები, ვარჩიოთ სისადავე, სილაღე, ელეგანტურობა, ჰარმონია მრავალფეროვნებაში. სივრცე უნდა იყოს დახვეწილი, გავისხენოთ ნამოქმედარი ღვთის ხელთა, რომ-

ლებმაც გამოძერწეს ჩვენი სამყარო. ყვავილები არასოდეს არ უნდა გამოიყურებოდნენ უსახურად; ჩვენ უნდა ვტბებოდეთ მათი ხილვით.

ლიტურგიის გასაფორმებლად განკუთვნილი ყვავილები და, განსაკუთრებით, პრესბიტერიუმში განთავსებული, სჯობს იყოს გადაჭრილი: რადგანაც მსხვერპლად არიან შეწირული და მნახველთ მშვიდობას, სიხარულს, სიცოცხლის ხალისს, სინათლეს, სურნელსა და ფერადოვნებას უძღვნიან. ყვავილი მსხვერპლად შეწირული უფლის ლამაზი მეტაფორაა. შემთხვევითი როდია, რომ მონამეებს ხშირად ქრისტესთვის მონყვეტილ ყვავილებად მოიხსენებდნენ. აკრძალულია ნებისმიერი მასალის ხელოვნური ყვავილები, ბაფთის, ქალაღდის, გამჭვირვალე პლასტმასის თუ სხვა... დასაშვებია, უფრო მეტიც, სასურველია ხილის, კენკრის, სურნელოვანი მცენარეებისა და სხვა ყველაფრის გამოყენება, რასაც ბუნება ასე გულუხვად გვთავაზობს.

რა თქმა უნდა, ყვავილებით გაფორმების ტექნიკა მნიშვნელოვანია და ადვილად შეისწავლება, მაგრამ ყველაზე რთული და მთავარი სხვა რამაა: შეუხამო ყვავილების კომპოზიციები ლიტურგიულ დღესასწაულებს, განსაკუთრებულ საზეიმო წირვებს (ნათლობა, პირველი ზიარება, მირონცხება, ჯვრისწერა, დაკრძალვა...), ლოცვებს, არქიტექტურას, ლიტურგიულ სივრცეებს... ამიტომაც, საჭიროა ლიტურგიული, ბიბლიური, მჭვრეტელობითი, ესთეტიკური სული და... საღი გონება! გარდა იმისა, რომ ყვავილებით გაფორმების ხელოვნება წარმოადგენს საეკლესიო მსახურებას, მას მიიჩნევენ ძღვნად და სამსახურად, ყოველთვის კარგია, რომ ამ ხელოვნებას ემსახურობოდეს არა ერთი ადამიანი, არამედ ჯგუფი, რომელიც შეიკრიბება განსახილველად, ერთმანეთის დასახმარებლად, განსაკუთრებით, საკითხავების ერთად მოსასმენად და ერთად ლოცვისთვის.





უფალმა შეცვალა ჰამიდის გული

ჰამიდი მუსლიმი იყო, მაგრამ თავისი ძმის მოწოდების წყალობით ირწმუნა ქრისტიე. როდესაც იგი სახარებას გაეცნო, გონებით მიიღო იესო, მაგრამ გულით ვერ შეძლო განეცადა ღვთის სიყვარულის სისავსე.

ჰამიდს რცხვენოდა თავისი ახალი რწმენისა, ამიტომ არ სურდა თავი საფრთხეში ჩაეგდო და სხვებისთვის ექადაგა ქრისტიე. შემდეგ მან გაიცნო დენისი, რომელიც იყო თანამშრომელი ქრისტიანული მისიისა „Frontiers“ და ძმასთან ერთად დაიწყო მასთან შეხვედრები. დენისი ძმებს დაეხმარა სულიერ ზრდაში, რათა შეეცნოთ იესო; ურჩია, უფალთან ერთად დარჩენილიყვნენ სიმშვიდეში და მოესმინათ, რისი თქმა სურდა მას წმიდა წერილში გაცხადებული სიტყვის მეშვეობით.

ჰამიდსა და მის ძმას მსგავსი არაფერი გაეგონათ ისლამში, ამიტომ გაუჭირდათ ამ სულიერი პრაქტიკის გათავისება და ენთუზიაზმით შესრულება. მრავალი თვის განმავლობაში ვერც ჰამიდმა და ვერც სხვა ახლად მოქცეულმა მუსლიმებმა „ვერ შეძლეს უფლის შეცნობა“.

ერთ დღეს ჰამიდი პარკში იჯდა და ბიბლიას კითხულობდა. პოლიციელებმა ეს შენიშნეს, გააკიცხეს ის და შემდეგ ციხეში გამოამწყვდიეს. ჰამიდი გაოგნებული იყო, თავს უბედურად და მიტოვებულად გრძობდა, ინვა საკნის ცივ იატაკზე და კანკალებდა. თითქმის მთელი ღამის განმავლობაში გამუდმებით იღვიძებდა, ტრიალებდა და იტანჯებოდა. მაგრამ შემდეგ არაჩვეულებრივი, საოცარი რამ მოხდა. ჰამიდმა სიზმრად იხილა, რომ შუალამისას საკანში იესო შემოვიდა, მიუახლოვდა მას, მოეხვია და საბანი დააფარა...

ღილით გაღვიძებულს სული უჩვეულო სიმშვიდის გრძობით ალევსო. ცხოვრებაში მან პირველად იგრძნო, როგორ შეეხო ღვთის სიყვარული მის გულს. როცა სავსებით გამოფხიზლდა, შეეშინდა... ისეთი რამ დაინახა, რაც საღ აზრს ეწინააღმდეგებოდა: მას ეხურა სწორედ ის საბანი, რომელიც იესომ დააფარა სიზმრად! თუ არადა, როდესაც დაიძინა, საკანში არა-

ვითარი საბანი არ ყოფილა. ეს ყოველივე მცველებმაც შენიშნეს და შეძრწუნებულებმა მაშინვე შინ გაუშვეს ჰამიდი.

მომდევნო ღამით ჰამიდმა ისევ იხილა სიზმრად იესო, რომელმაც ამჯერად მას მოსთხოვა, სამსახურში მისვლისთანავე, ეუწყებინა სახარება პირველივე შემხვედრი ორი თანამშრომლისათვის. ადრე არავისთვის არაფერი უთქვამს ჰამიდს იესოს შესახებ, რადგან შიშისაგან ვერც გაბედავდა, მაგრამ იმ დღით მან გაიღვიძა დარწმუნებულმა, რომ შეძლებდა ამის გაკეთებას.

ჰამიდმა იცოდა, რომ დასაკარგი არაფერი ჰქონდა. ციხეში იმ ღამემ იგი დაარწმუნა, რომ ქრისტიე ყოველთვის მასთანაა, რომ უფლის სრულყოფილი სიყვარული განდევნის ყოველგვარ შიშს. ჰამიდი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ მაშინაც კი, თუ სახარების დამონება შემდგომ დევნას გამოიწვევდა, იესო მას დაიცავდა.

ჰამიდი დაემორჩილა უფლის მოთხოვნას და თავის ორ თანამშრომელს აუწყა სახარება. ასევე უამბო თავისი მოქცევის შესახებ, თუ როგორ იხილა სიზმრად იესო, რომელმაც საბანი დააფარა საპყრობილის ცივ იატაკზე მწოლარეს. ამხანაგებმა მაშინვე ირწმუნეს მისი ნაამბობი.

მომდევნო კვირებში ჰამიდი მათთან ერთად ეცნობოდა ბიბლიას და ასწავლიდა, რას ნიშნავს იესო იესოს მონაფე. ამ გამოცდილებამ სულიერად გაამხნევა ჰამიდი და სხვა მორწმუნენი. ისინი უკვე გაბედულად და მეტი შემართებით აუწყებდნენ ხალხს სახარებას. „შემდეგ ჰამიდმა დააფუძნა ბიბლიის შემსწავლელი შვიდი ჯგუფი“, - მოწმობს დენისი, - გასულ წელს დაახლოებით ორმოცი კაცი და ქალი გახდა იესოს მიმდევარი“.

ციხეში მომხდარი სასწაულებრივი ამბის შემდეგ უფალმა შეცვალა ჰამიდის გული. უწინ დენისი შიშით შეპყრობილი ახლად მოქცეული ჰამიდი ან უკვე ქრისტეს გაბედულ მოწამედ იქცა.

კათოლიკობა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში


მე-16 საუკუნის სამცხე-საათაბაგო ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში აღმოჩნდა, რაშიც მნიშვნელოვანი როლი ათაბაგების სეპარატისტულმა განწყობამ ითამაშა. მიუხედავად ოსმალეთის იმპერიის მმართველობაში გატარებული რამდენიმე საუკუნისა, ტაო-კლარჯეთის მოსახლეობა ინარჩუნებდა ქართულ ენას, ისტორიულ მემკვიდრეობას და, ზოგადად, ეროვნულ კულტურას. ახლაც, მიუხედავად მძლავრი ასიმილაციური პოლიტიკისა, რაც მე-20 საუკუნიდან საკმაოდ აქტიურ ფორმას იღებს, ყოველ შემთხვევაში, თურქეთელ ქართველთა უფროს თაობაში ქართული ენა და კულტურა ნაწილობრივ შენარჩუნებულია. მხოლოდ რამდენიმე წლის წინ, ერდოლანის მხარდაჭერით, თურქეთის საჯარო სკოლებს მიეცათ მითითება, რომ სურვილის შემთხვევაში, ნაციონალური უმცირესობების წარმომადგენლებს, მათ შორის, ქართველებსა და ლაზებს, ეროვნული ენის გაკვეთილები ჩატარდეთ. თურქეთის რესპუბლიკაში ასევე ათზე მეტი ქართული კულტურის შესწავლისა და პოპულარიზაციის ცენტრი მოქმედებს. კიდევ უფრო აქტიურია ლაზური ორგანიზაციები. ერთ-ერთი გამორჩეული სტამბოლის ქართული კათოლიკური საჯანა, რომელიც ყოველწლიურად ეხმარება (ცხადია, შესაძლებლობების ფარგლებში) ქართველ ემიგრანტებს მათი კონფესიური მიკუთვნებულობის განურჩევლად.

ისლამიზაციის ხანგრძლივ პროცესში ამ რეგიონის ქართული მოსახლეობის ნაწილმა ისლამის მიღებას ქრისტიანად დარჩენა ამჯობინა. ალტერნატივა ამგვარი იყო: ან ბერძნული ეკლესიის მრევლს უნდა შეერთებოდნენ, ან კათოლიკობა მიეღოთ და

ევროპის ქვეყნებთან კავშირები გაეხატათ. ვინაიდან ამ რეგიონში 1700 წლებიდან ვენეციისგან მხარდაჭერილი მხითარისტთა სომხურ-კათოლიკური მისიები აქტიურად მოქმედებდნენ ყოფილ სამცხე-საათაბაგოს ტერიტორიაზე, ქართველი კათოლიკე თემიც სომხურ-კათოლიკურ წესზე აღმოჩნდა მიზმი. ოსმალეთშიც, შემდგომ კი უკვე რუსეთის იმპერიაშიც, სომხურ-კათოლიკური სამღვდლოება, რომელიც ლათინური წესის ცალკეულ მღვდლებსაც ზღუდავდა, აქტიურად ცდილობდა ეთნიკურად ქართველი კათოლიკეების ასიმილაციას; ამ პროცესს რუსეთის იმპერიაში ხელისუფლებაც უმაგრებდა ზურგს. ეს ტენდენცია მხოლოდ რუსეთის იმპერიის დაშლისა და საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ შეწყდა, ხოლო 30-იან წლებში საბჭოთა ხელისუფლებამ საერთოდაც აკრძალა ყველა არალათინური წესი, მათ შორის, სომხურ-კათოლიკურიც. ეს კანონი თითქმის „პერესტროიკის“ ბოლომდე მოქმედებდა.

1877-78 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომის შემდგომ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტერიტორია - ართვინი, არდაჰანი, აჭარა რუსეთის იმპერიამ შემოიერთა; ქართულ წყაროებში ამ პროცესს ქართული მიწების დედასამშობლოსთან დაბრუნებას უწოდებენ. სამუხაროდ, ბოლშევიკურმა რუსეთმა ართვინი და არდაჰანი 1921 წლის შეთანხმებით თურქეთს გადასცა. ქართველი მამულიშვილები, ილია ჭავჭავაძის თაოსნობით, ცდილობდნენ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ქართველობაში ეროვნული თვითშეგნების გაძლიერებას, მათ დაახლოებას ქართულ საზოგადოებასთან. ამ პროცესში აქტიურად იყვნენ ჩაბმული მესხი კათოლიკე საზოგადოებრივი მოღვაწეებიც... სამუხაროდ, მათ ძალისხმევას ხელს უშლიდა საჭირო სახსრების სიმცირე, მოხალისეთა ნაკლებობა და თავად ქართული საზოგადოების მედროვე ნაწილის ინდიფერენტული განწყობა, მთავარი წინააღმდეგობა კი, ცხადია, ცარიზმის ანტიქართული პოლიტიკა გახლდათ.

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს შემოერთების პირველივე წლებიდან ქართულენოვანი პრესა აქტიურად იწყებს ამ რეგიონის პრობლემებზე წერას. ეს ბეჭდური მასალა ლამის ერთადერთ წყაროს წარმოადგენს იმ ეპოქის სურათის გასაცოცხლებლად. ჩვენი მიზანია, გასული საუკუნეების ქართული პრესის მასალების მიხედვით, აღვადგინოთ ერთგვარი სურათი იმისა, თუ რა მდგომარეობაში იმყოფებოდა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში



კათოლიკური თემი. ამ მწირი პერიოდის მიხედვით, უმეტეს შემთხვევაში, ძნელია განვსაზღვროთ თუ რომელ კათოლიკურ წესს მიეკუთვნებოდნენ ამ რეგიონში მცხოვრები კათოლიკეები. სტატიის ავტორებს უფრო მუსლიმ ქართველთა პრობლემები აინტერესებდათ, ვინაიდან მათი უმეტესი ნაწილი მთლად არ იყო ჩამოყალიბებული ეროვნულ პრიორიტეტებში და ოსმალური აგენტურაც ამ სეგმენტზე მუშაობდა. გარდა ამისა, სტატიის ავტორები ხშირად თავადაც ვერ ერკვეოდნენ კათოლიკური სამრევლოების სპეციფიკაში. წმიდა საყდართან დაკავშირებული მრავალი ინფორმაცია იმჟამინდელი სტატიების ავტორებისათვის საერთოდაც უცნობი იყო და დღევანდელი გადასახედიდან სულ სხვანაირი სურათი იქმნება სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს საკმაოდ მრავალრიცხოვანი კათოლიკე თემის შესახებ. მრავალრიცხოვანი შემთხვევით არ მიხსენებია. 1913 წლის ოსმალური დემოგრაფიული სტატისტიკის მიხედვით, შავიზღვისპირეთის ქალაქებში, ლაზეთის ტერიტორიაზე, კათოლიკეთა რაოდენობა საშუალოდ 5%-მდე აღწევდა. მათ რაოდენობით მხოლოდ ბერძენი ქრისტიანები სჭარბობდნენ. დღესაც ტრაპიზონში, სამსუხში, არსებობს მე-19 საუკუნის 60-იან წლებში აგებული ლათინური წესის კათოლიკური ტაძრები, სადაც მსახურება ყოველ კვირადღეს აღევლინება. მაშ ასე, ჩვენს რუბრიკაში გთავაზობთ XIX-XX საუკუნეების ქართულ პრესაში გამოქვეყნებული მასალებიდან მცირე ამონარიდებს სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს კათოლიკური თემის შესახებ.

„**ცნობის ფურცელი**“, 1896 წლის 4 დეკემბერი: „ართვინი იმყოფება ბათომიდან 80-90 ვერსის მანძილზე მდ. ჭოროხის პირზე, წარმოადგენს პატარა ლამაზ ქალაქს, სულ 8 ათასი მცხოვრებით. ტომით სომხები არიან, საწმუნოებით კათოლიკენი. აქაურ მცხოვრებთა ლაპარაკის კოლო, ტანის მოყვანილობა ამკარად ამტიკცებს იმ აზრს, რომ ყველა კათოლიკე უნინ ქართველი იყო, მხოლოდ ოსმალის დროს მიიღეს კათოლიკობა. რადგან კათოლიკობა ერთადერთი საშუალება იყო გამაჰმადიანებისაგან თავის დასაღწევად, იმიტომ რომ ძღვევამოსილი მაშინდელი რომის პაპი მიიღებს მფარველად გაუხდებოდა. აქაურ მცხოვრებთა ენაც შემდეგში გადასომხურდა, რადგან მათი წირვა-ლოცვა სომხურ ენაზე წარმოებდა. ამას ამტიკცებს ის გარემოებაც, რომ აქაურ ადგილების სახელები ქართული სიტყვებიდან შესდგება, მაგალითად: კარიძხველი, მამანწინდა, სკება, ორჯოხი, ნითურეთი, ლომაშენი, ცივწყარო, წყალოქრო, შიგანახო; ასევე ყველა ბოსტნეულისა და ხილის სახელიც ქართულია“.

„**ივერია**“, 1889 წლის 15 ივლისი: „ართვინი მესამე ქალაქია ქუთაისის გუბერნიაში მცხოვრე-



ბლებს რაოდენობით ქუთაისსა და ბათუმს შემდეგ. აქ სცხოვრობს ამჟამად 1300 კომლი, სულ 9000-ზე მეტი სული. ართვინის მცხოვრებნი არიან კათოლიკები, სომეხი გრიგორიანები, ცოტათოდენი თათარი და ქართველი (იგულისხმება მუსლიმი ქართველი. ნ.ბ.). ართვინიდან გადასახლებულნი მაჰმადიანი, სათი ათასიოდე ტომით ქართველნი იყვნენ (მუსლიმი ქართველები რუსეთის ხელშეწყობითა და ოსმალეთის პროპაგანდის გავლენით ძირითადად ლაზეთის ან ანატოლიის შიდა რეგიონებში გადასახლდნენ. ნ.ბ.), ეკლესიები ბლომად არის. ერთი რუსის ჯარის, ერთი სომეხ-გრიგორიანების, ოთხი კათოლიკე სომხებისა და ოთხიც მეჩეთი. სასწავლებლებიც ბლომად არის: ერთი მთავრობისა, ორ-კლასიანი ნორმალური სასწავლებელი (იგულისხმება საერო ტიპის დანყებითი სკოლა. ნ.ბ.), ორი მაჰმადიანური, ერთი გრიგორიანი სომხებისა და სამი კათოლიკე სომხებისა (სომხურ-კათოლიკური წესი, სადაც ეთნიკურად ქართველი კათოლიკეებიც იგულისხმებიან ნ.ბ.).

გამორქვლვამ იძნება

„ქართველი კათოლიკე ექიმები“ დროისა და ეპოქის პრიზმაში

გამოიცა პროფესორ ჟუჟუნა ფეიქრიშვილის მორიგი ნიგნი „ქართველი კათოლიკე ექიმები“ (რედაქტორი - მამა გაბრიელე ბრაგანტინი; სარედაქციო კოლეგია: ლევან ბეგიშვილი, თინათინ კოკოჩაშვილი, ნანა მიზანდარი). ნიგნი მომზადდა და დაიბეჭდა გამომცემლობა „უნივერსალის“ მიერ.

ამაგდარი მეცნიერის, პროფესორ **ჟუჟუნა ფეიქრიშვილის** მიერ მომზადებული ახალი ნაშრომის სახით კიდევ ერთი საჩუქარი მიიღო საქართველოში კათოლიკური ეკლესიის ისტორიითა და კულტურული მემკვიდრეობით დაინტერესებულმა მკითხველმა. ნიგნის წინათქმაში წარმოდგენილია ნაშრომის მიზანი: „საქართველოში ამ ნიგნის გამოცემით, პირველ რიგში, პატივს მივაგებთ ჩვენი სახელოვანი თანამემამულეების - XIX-XX საუკუნეებში მოღვაწე ქართველი კათოლიკე ექიმების - ნათელ ხსოვნას, იმავდროულად თანამედროვე საზოგადოებას უფრო ახლოს გავაცნობთ მათს მოღვაწეობას და, რაც მთავარია, ეს ახალი ნიგნიც საინტერესო ფურცლებად შეემატება საქართველოში კათოლიკური მემკვიდრეობის მდიდარ ისტორიას“. „ქართველი კათოლიკე ექიმები“ ორ ნაწილად არის ჩაფიქრებული: პირველში აღწერილია დასავლეთ საქართველოში, უმთავრესად, ქუთაისსა და ბათუმში დაბადებული ექიმების ცხოვრება და პროფესიული საქმიანობა, მეორე ნაწილი კი აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოში მკვიდრ და მოღვაწე ექიმებს მიეძღვნება. ახალი ნიგნი გახლავთ ზოგადად ქართული მედიცინის ისტორიის გზამკვლევიც, რამეთუ გასული ორი საუკუნის მანძილზე ქართველ ესკულაპთა კოჰორტაში კათოლიკური აღმსარებლობის ექიმებს გამორჩეული ადგილი ეკავათ და მათ გარეშე ეროვნული სამედიცინო დარგის ვერანაირი ისტორია ვერ დაინერება. ექიმობა, სამედიცინო საქმიანობა, წამლების დამზადება, აფთიაქები და სამკურნალო დაწესებულებების მონყოლა XVII საუკუნიდან მჭიდროდ ასოცირდება უცხოელ მისიონერებთან - კათოლიკე მამებთან, რომლებიც საუკუნეების მანძილზე მოღვაწეობდნენ ქართლში, მესხეთ-ჯავახეთში, იმერეთში, გურიასა და სამეგრელოში, მათი მკურნალობის ტრადიცია კათოლიკურ სწავლებასთან ერთად შეისისხლხორცეს ქართველმა კათოლიკეებმაც. ამიტომ არ არის გასაკვირი, რომ ქართველ კათოლიკეთა შორის მრავლად იყვნენ მკურნალები და ფარმაცევტები. სწორედ დასავლური ქრისტიანობის წყალობით,


ოსმალეთის იმპერიაში მცხოვრებმა ქართველებმა შეინარჩუნეს ქართველობაც, მშობლიური ენაც და შეძლეს დანიინაურებულიყვნენ კიდევ სხვა თანამემამულეებთან შედარებით, რაც სწორედ ფართო განათლებით, ენების ცოდნითა და ევროპულ კულტურასთან მჭიდრო კავშირით აიხსნება. მეტიც: ოსმალური ბატონობის, რუსული ცარიზმისა თუ საბჭოთა რეჟიმის დროს სწორედ ქართველი მოსახლეობის კათოლიკურ სეგმენტში აქტიურად ვითარდებოდა კავშირები ევროპულ კულტურასთან. ასე რომ, **ქართველი კათოლიკე ექიმები ყოველთვის ეროვნული სამედიცინო ელიტის ღირსეულ და ანგარიშგასაწევ ძალას წარმოადგენდნენ.**

ნაშრომში განხილულია კათოლიკური ოჯახებიდან გამოსული ექიმების: ზუბალაშვილების, კოკოჩაშვილების, ხეჩინაშვილების, არაზაშვილების, ბეთანელების, კოსტანაშვილების, მირაქიშვილების, მურვანიშვილებისა და სხვა (სულ 16) საგვარეულოს 38 წარმომადგენლის ცხოვრება-საქმიანობა. XIX საუკუნის პირველ ნახევარში, ახალციხის საფაშოს შემოერთების შემდგომ, კათოლიკეთა დიდი ნაწილი თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებში გადმოსახლდა და ქართველ მრეწველთა და მოქალაქეთა ფენას ჩაუყარა საფუძველი. ამავე საუკუნის მეორე ნახევრიდან მრავალმა ქართველმა კათოლიკემ ევროპული უმაღლესი განათლება მიიღო და პროფესიული სამედიცინო ცოდნა შეუთავსა მკურნალობის ტრადიციულ მეთოდებს. აქედან მოყოლებული, ქართველ კათოლიკე მკურნალთა საუკეთესო ნაწილი, თავისი პროფესიული სამედიცინო მოღვაწეობით გამორჩეული შეიქმნა რუსეთის იმპერიაში, ასევე შემდგომ - უკვე საბჭოთა საქართველოშიც. ამგვარად ჩამოყალიბდა ქართველ კათოლიკე ექიმთა და პროვიზორთა თაობები. და საერთოდაც, ქართველი კათოლიკეები ყველა სფეროში, სადაც კი უხდებოდათ მოღვაწეობა, გამოიჩინდნენ ქვეყნისადმი ერთგული მსახურებით, მაღალი პროფესიონალიზმით, განათლებითა და აზროვნების ფართო დიაპაზონით, სიახლეები-სადმი სწრაფვით.

განსაკუთრებით საყურადღებოა ნიგნში ჩართული ცნობილი ქართველი მწერლის თამაზ ჩხენკელის მიერ 1998 წელს გამოქვეყნებული სტატიის ერთი საგულისხმო ინფორმაცია: კათალიკოს-პატრიარქი კალისტრატე ცინცაძე „თურმე არ იცნობდა ზაქარია ფალიაშვილს და რომ უნახავს, უთქვამს: „ასეთი მბრწყინავი თვალები მარტო კათო-

ლიკეებში შემხვედრია და ისიც მორწმუნე კათოლიკეთა შორის“.

ესე იგი ამგვარი რწმენა ნიშანდობლივიც კი ყოფილა. შემდგომ თამაზ ჩხენკელი დასძენს, რომ „ჩვენ გვინახავს უმშვენიერესი, ბრწყინვალე ქართული ოჯახები, მაგრამ ისეთი წესრიგი, შეიძლება ვთქვათ, პედანტიურიც კი, კათოლიკეებს რომ ახასიათებთ (ესაა ერთგვარი მონესრიგებულობა ევროპული ტიპის), მე სხვაგან არ შემინიშნავს“. სწორედ ამგვარი წერილების მოძიება და ერთ წიგნში თავმოყრა გახლავთ ამ ნაშრომის ავტორის დამსახურება, რათა ერთი საერთო ხედვით წარმოჩინდეს და ერთიან კომპოზიციურ ჩარჩოში გაერთიანდეს ყველა მიზნობრივი თემატური მასალა. ეს ერთიანობა კი ქმნის მკითხველის განწყობასა და აღქმას. წიგნში გვხვდება, აგრეთვე, საინტერესო და მრავლისმეტყველი სხვა ფაქტებიც. მათგან გამოვყოფ ერთ ისტორიულ ამბავს, რომელიც ეხება 1892 წელს ქუთაისის სამედიცინო საზოგადოების დაფუძნებას. საზოგადოებამ 21 ექიმი გააერთიანა, მათი უმრავლესობა უცხოელი იყო, ხოლო 7 ქართველი ექიმიდან, 6 კათოლიკე გახლდათ. ამავე დოკუმენტებიდან ვიგებთ, რომ 1926 წელს შედგენილი ქუთაისის კათოლიკეთა მრევლის სიის მიხედვით, ქუთაისში მცხოვრები 346 კათოლიკედან 19 არის ექიმი და ფარმაცევტი. ეს ნათლად ადასტურებს, თუ რა როლი ეკისრებოდა ქართველ კათოლიკე ექიმებს ქუთაისისა და ზოგადად იმერეთის რეგიონში სამკურნალო და სააფთიაქო საქმის დანერგვასა და განვითარებაში... ქალბატონი ფეიქრიშვილის ნაშრომებს, ისტორიულ ფაქტთა კვლევისა და გასაჯაროების გარდა, გააჩნიათ კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დატვირთვა - საზოგადოებრივი კონსოლიდაციის ფუნქცია. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ ბოლო ოცდაათი წლის მანძილზე კვლავ გამოიკვეთა მცდარი ძველი ტენდენცია, რომ მიჩქმალულიყო ცალკეულ პიროვნებათა კონფესიურობა, თუ ისინი არ წარმოადგენდნენ დომინანტი ეკლესიის წევრებს. საბჭოთა პერიოდში ამგვარი დამოკიდებულება გასაგები გახლდათ. მაშინაც კათოლიკე ეკლესია და კათოლიკური თემი თავისი ღირსეული წარმომადგენლებით საბჭოთა იდეოლოგიის მთავარ სამიზნეს წარმოადგენდა... ამ ახალი ნაშრომითაც ცდილობს ავტორი, გასაჯაროვდეს ის, რაც კომუნისტურ-ათეისტური რეჟიმის დროს მიჩქმალული გახლდათ და მოიხსნას კათოლიკო-



ქართული კათოლიკე ექიმები

ქართველი კათოლიკე ექიმები

ნაწილი პირველი

ბაზე დღემდე ზოგადად არსებული ტაბუირებაც. განსაკუთრებით საამაყოა ისიც, რომ ქუთაისელი კათოლიკე ექიმების ოჯახებში აღზრდილმა შთამომავლობამ მედიცინის დარგშიც თავიანთი პიროვნული ღირსებით, ფართო განათლებითა და, ზოგადად, მეცნიერულ-პრაქტიკული მოღვაწეობით საქვეყნოდ წარმოაჩინეს მამა-პაპათაგან მემკვიდრეობით გადმოცემული შრომისმოყვარეობა, ნიჭიერება და მისაბაძი კეთილშობილება-ქველმოქმედება - ამგვარად ამთავრებს „ქართველი კათოლიკე ექიმების“ პირველ წიგნს ქალბატონი ფეიქრიშვილი და შეუძლებელია მისი პათოსი სრულად არ გავიზიაროთ.

წინამდებარე წიგნი კომპოზიციურად საინტერესოდ არის შეკრული, ადვილად და ერთი სულის ამოსუნთქვით იკითხება; რაც მთავარია, დაწერილია გამართული ქართულით (უკანასკნელ ხანებში იშვიათ ფუფუნებად რომ გვექცა). საერთო ჯამში კი იგი კარგი საჩუქარია სამეცნიერო-პოპულარული ლიტერატურის მოყვარულთათვის. და ბოლოს, პროფესორ ფეიქრიშვილის სამეცნიერო საქმიანობის კრედიო კათოლიკური მემკვიდრეობის მოძიება და ფართო საზოგადოებისათვის წარმოჩენა, სწორედ ესაა ბოლო ათწლეულებში ამ მიმართულებით მის მიერ გამოცემული ყველა წიგნის მიზანი, რაც ამჯერად გათვალსაჩინოებულა ყველაზე ჰუმანური პროფესიის წარმომადგენლების - ქართველი კათოლიკე ექიმების ცხოვრება-მოღვაწეობით. ამ შემთხვევაშიც ქალბატონი ფეიქრიშვილი არ ლალატობს თავის დევიზს: „არ დაიკარგოს არც ერთი გამოჩენილი ადამიანის ღვაწლი სათანადო დაფასების გარეშე“. ჩვენც ისლა დაგვრჩენია, სარეცენზიო ნაშრომს წარმატება ვუსურვოთ მკითხველთა გულებისკენ მიმავალ გზაზე.

რატომ უნდა ბავშვმა ბავშვი ბანაკში?



ხშირად აღმზრდელები ვერ ხვდებიან, რატომ უნდა გაუშვან ბავშვები ბანაკში. ამის შესახებ მსურს მოგანოდოთ მცირედი ინფორმაცია.

ბავშვების კათოლიკურ ბანაკებში გაგზავნა არ არის მხოლოდ დასვენებისა და გართობის შესაძლებლობა. ეს არის ინვესტიცია მათ სულიერ განვითარებაში, რწმენის განმტკიცებასა და მტკიცე ქრისტიანული საფუძვლების ჩამოყალიბებაში. ქვემოთ მოცემულია რამდენიმე მიზეზი, რის გამოც კათოლიკური ბანაკი შეიძლება იყოს დასამახსოვრებელი და შთამაგონებელი გამოცდილება თქვენი შვილებისათვის:

სულიერი ცხოვრების გაძლიერება

ბანაკებში ბავშვებს აქვთ შესაძლებლობა, გაიღრმავონ რწმენა ლოცვით, თაყვანისცემითა და ბიბლიის შესწავლით. ეს ეხმარება მათ თავიანთი რელიგიის უკეთ გაგებასა და განცდაში. როგორც წმიდა ავგუსტინე აღნიშნავდა: „ღმერთი ჩვენთან უფრო ახლოსაა, ვიდრე ჩვენ ვართ საკუთარ თავთან“. ბანაკში ბავშვები სწავლობენ ღმერთის ძიებასა და პოვნას ყოველდღიურ ცხოვრებაში.

წმიდანების მაგალითი

კათოლიკურ ბანაკებში ხშირად ისმენენ წმიდანთა ცხოვრებისეულ ისტორიებს, რაც შთააგონებს ბავშვებს და უჩვენებს, როგორ მიჰყვნენ ქრისტეს ნებისმიერ ვითარებაში. გავიხსენოთ წმიდა დომინიკე სავიო, ახალგაზრდების ზეციური მფარველი.

საზოგადოება და მეგობრობა

ბანაკი არის ადგილი, სადაც ბავშვებს შეუძლიათ შეიძინონ ახალი მეგობრები, რომლებიც იზიარებენ მათ რწმენასა და ღირებულებებს. თანამოაზრეების ეს საზოგადოება მხარდამჭერი და შთამაგონებელია.

უნარებისა და ნიჭის განვითარება

კათოლიკური ბანაკები გვთავაზობენ სხვადასხვა აქტივობას: სპორტს, ხელოვნებას, ხელნაკეთობას, რაც ბავშვებს ეხმარება ნიჭისა და უნარების განვითარებაში. ეს აქტივობები არა მხოლოდ გასართობია, არამედ ასწავლის ბავშვებს გუნდში მუშაობას, პასუხისმგებლობასა და ინიციატივას.

შეგნებული რწმენა

კათოლიკური ბანაკი ბავშვებს ეხმარება შეგნებულად გააცნობიერონ თავიანთი რწმენა, დასვან კითხვები და იპოვონ მათზე პასუხები. როგორც წმიდა იოანე პავლე II აღნიშნავდა: „ახალგაზრდობა არის მსოფლიოსა და ეკლესიის მომავალი. ჩვენ უნდა დავეხმაროთ მათ ქრისტეს პოვნაში, რომელიც არის გზა, ჭეშმარიტება და სიცოცხლე“.

დასვენა

კათოლიკური ბანაკები ბავშვებს აძლევენ უნიკალურ შესაძლებლობას, გაიზარდონ სულიერად, განავითარონ თავიანთი ნიჭი და დაამყარონ ძლიერი ქრისტიანული მეგობრობა. ეს ბანაკები ბავშვებს ეხმარება შეგნებულად იცხოვრონ თავიანთი რწმენით და სათნო ცხოვრებით. როგორც პავლე მოციქულმა თქვა: „ყოველივე ძალმიძს ჩემს განმამტკიცებელში, ქრისტეში“ (ფილიპ. 4,13). შეიძლება ეს გამოცდილება იყოს კურთხევა და შთაგონება თქვენი შვილებისათვის.





როგორ აღვზარდოთ დამოუკიდებელი და წარმატებული პიროვნება

რა არის წარმატება? წარმატების ცნება ყველა მშობელს თავისებურად ესმის. ვილაციისთვის ეს კარგი განათლება, პრესტიჟული სამსახური და სიმდიდრეა. სინამდვილეში კი წარმატებაა, უპირველეს ყოვლისა, იყო ემოციურად ჯანსაღი ადამიანი, რომელმაც იცის, ვინ არის, საით მიდის და რა სურს, რომელიც ადვილად არ ექცევა სხვათა გავლენის ქვეშ და ნებისმიერ სიტუაციაში შეუძლია ადეკვატური გადაწყვეტილების მიღება.

ჩვენი მიდგომა ბავშვთან უნდა ეფუძნებოდეს 5 უმნიშვნელოვანეს პრინციპს:

- სიყვარულს
- ნდობას
- პატივისცემას
- დამოუკიდებლობას
- თანამშრომლობას

თითქმის ყველა მშობელმა იცის, რა უნარები სჭირდებათ მათ შვილებს წარმატებისთვის, მაგრამ თავად არ ფლობენ ამ უნარებს. აქედან გამომდინარე, შვილის წარმატების გზა თქვენგან იწყება, ამიტომ ჩემი პირველი რჩევა იქნება, საკუთარი თავის განვითარებით დაიწყოთ.

აი, უნარები, რომლის გამომუშავებაში უნდა შეუწყოთ ხელი ბავშვს (საკუთარ თავსაც), რათა ის დამოუკიდებელი და წარმატებული იყოს:

- **კომუნიკაციის უნარი** — უნდა შეეძლოს ყველასთან ურთიერთობა, გუნდში მუშაობა, საჭირო დროს დახმარების თხოვნა, მოლაპარაკების გზით შეთანხმების მიღწევა, საკუთარი აზრის დაფიქსირება და დაცვა.
- **ლიდერობა** — საკუთარი თავისა და შესაძლებლობების რწმენა. უნდა შეეძლოს პასუხისმგებლობის აღება და გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღება.
- **ემოციური ინტელექტი** — საკუთარი ემოციების გარჩევის, გაგებისა და კონტროლის უნარი; ეს უნარი ასევე ეხმარება სხვების ემოციების გაანალიზებასა და მათთან სწორ ურთიერთობაში.
- **შემოქმედებითი აზროვნება** — არასტანდარტული და შექმნილი გარემოების მიხედვით შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება.
- **კრიტიკული აზროვნება და ანალიზის უნარი** დროის შეგრძნება და მისი სწორად განაწილების უნარი

მშობლების უმეტესობას ჰგონია, რომ კონტროლი უკეთესი ხერხია ბავშვის აღსაზრდელად, ვიდრე ნდობა, თუმცა ასე არ არის. გახსოვდეთ, რაც მეტ ნდობას უცხადებთ ბავშვს, მეტად თავდაჯერებული ხდება იგი.

ბევრი თანამედროვე დედა თოვლის სანმენდი მანქანასავით არის, რომელიც მუდამ გზას უკვალავს ბავშვს. ეს საქციელი მოწმობს, რომ შეგნებულად თუ გაუცნობიერებლად, მშობლებს არ სჯერათ, რომ მათი შვილი დასახულ ამოცანას ან შექმნილ დაბრკოლებას თავად გაუმკლავდება. მშობლები ხშირად არ ვაძლევთ ბავშვს თავისუფალი არჩევანის საშუალებას, შემდეგ კი გვიკვირს, რატომ არის ასეთი გაუბედავი და არამიზანდასახული.

მშობლის ეს ზედმეტი მზრუნველობა ბევრი ფაქტორით არის განპირობებული. მათ შორის, საკუთარი არარეალიზებული, უამრავი

შიშით და იმ ბარიერებით, რომელთა გადალახვაც თავად ვერ შეძლეს. თავიანთი გადმოსახედიდან ცდილობენ, ყველაფერი საუკეთესო მისცენ შვილებს, მაქსიმუმი გაუკეთონ, ამ დროს კი მათ ცხოვრებისთვის სასიცოცხლო უნარების განვითარებას არ აცდიან.

დიალოგი ისე წარმართეთ, რომ არ შელახოთ ბავშვის ავტორიტეტი

ძირითადად, მშობელთა ორ კატეგორიას ვხვდებით: მუდმივად მოუცლელებს და მათ, ვინც მთელ თავის დროს ბავშვთან ატარებს. პირველ შემთხვევაში კომპიუტერულ ტექნიკაზე მიჯაჭვულ ბავშვს ვხედავთ, მეორე შემთხვევაში კი, გადაჭარბებული მზუნველობისგან შებოჭილსა და დაღლილს.

ორივე სცენარი ცხადყოფს, რომ ბავშვთან დიალოგი არ მიმდინარეობს. ბავშვი საკუთარ თავში იკეტება, რადგან ვერ გრძნობს მშობლებიგან ნდობას, რათა თამამად გამოთქვას სურვილები.

ეცადეთ, გულწრფელი და ხშირი კონტაქტი გქონდეთ ბავშვთან და მან თავისი აზრები, სურვილები გაგიზიაროთ, იმსჯელოს თქვენთან ერთად, დაამტკიცოს თავისი შეხედულებები, გაგინოთ წინააღმდეგობა და შეგეკამათოთ. ამისთვის კარგი საშუალებაა მულტიფილმებისა და საოჯახო ფილმების ერთად ყურება, წიგნის კითხვა და შემდეგ ამ ყველაფრის განხილვა.

ეცადეთ, ისე ესაუბროთ, რომ მისი აზრები ხელის ერთი მოსმით არ გაანადგუროთ. ბალანსის დაცვა აღზრდის ყველაზე ჭკვიანური პრინციპია: როცა ისე ზრუნავ და აქცევ ყურადღებას, რომ ეს ყველაფერი კონტროლში არ გადადის. ისე გიყვარს, რომ მას საკუთრებად არ აღიქვამ და მისგან წარმოსახვით პიროვნებას არ ქმნი.

და გახსოვდეთ, წარმატება, უპირველეს ყოვლისა, არის — იყო ემოციურად ჯანსაღი ადამიანი, რომელმაც იცის, ვინ არის, საით მიდის და რა სურს.





წმიდა იაკობის ტორტი

იაკობ ზებედესი, იაკობ უფროსი (Iacobus Maior), ქრისტეს თორმეტმოციქულთაგანი, იოანე ღვთისმეტყველის ძმა, მოიხსენიება 25 ივლისს. IX საუკუნის დასაწყისში მოციქულ იაკობის წმიდა ნაწილები სასწაულებრივად იქნა აღმოჩენილი ესპანეთის იმ მხარეს, რომელსაც ეწოდებოდა Campus stellae („ვარსკვლავთა ველი“); გადმოცემის თანახმად, წმიდა ნაწილების ადგილმდებარეობა მიუთითა მეგზურმა ვარსკვლავმა. აქ აღმოცენებულ ქალაქს ეწოდა სანტიაგო დე კომპოსტელა (Santiago de Compostela) და შუა საუკუნეებში, რომთან ერთად, გახდა ყველაზე მნიშვნელოვანი მომლოცველების ცენტრი.

წმიდა იაკობის ტორტი (La Tarta de Santiago), ესპანური დესერტი, ფართოდ გავრცელდა მრავალ ქვეყანაში, მაგრამ ყველაზე ცნობილია წმიდა იაკობის ის ტორტი, რომელსაც აცხობენ მომლოცველთათვის თვით ქალაქ სანტიაგო დე კომპოსტელაში. 1924 წლიდან საკონდიტრომ la pâtisserie Casa Mora დაიწყო ტორტის მორთვა წმიდა იაკობის ჯვრის ნიშნით, რომელიც ამჟამად ამ ტორტის აუცილებელ ელემენტს წარმოადგენს. მიიჩნევენ, რომ დესერტი შუა საუკუნეებში გაჩნდა და იმ დროს ძალიან ძვირი ღირდა ნუშის მაღალი ფასის გამო.

ინგრედიენტები

ნამცხვრისთვის:

- 1 კვერცხი
- 25 გრ შაქარი
- ფქვილი (დაახლოებით ორი ჭიქა)
- დარიჩინი და ერთი სუფრის კოვზი წყალი

შიგთავსისთვის:

- 4 კვერცხი
- 250 გრ შაქარი
- 250 დაფქული ნუში, გახეხილი ლიმონის ცედრა, დარიჩინი და შაქრის მინანქარი

მომზადება

ნამცხვის მოსამზადებლად ათქვიფეთ კვერცხი ერთ სუფრის კოვზ წყალთან, შაქართან და ცოტა დარიჩინთან ერთად. ნელ-ნელა დაუმატეთ ფქვილი მანამ, სანამ არ მიიღებთ ისეთ ცომს, რომელიც ხელით შეიძლება მოზილოთ, შემდეგ კი გააბრტყელეთ. ფორმის ძირზე ნაუსვით ნაღების კარაქი, მოაყარეთ ფქვილი და ზედ მოათავსეთ ცომი.

შიგთავსისათვის ათქვიფეთ კვერცხი შაქართან და ლიმონის ცედრასთან ერთად. დაუმატეთ დაფქული ნუში და დარიჩინი. მოათავსეთ ფორმაში და შედგით 180°C-მდე გახურებულ ღუმელში 25-30 წუთის განმავლობაში. ტორტის გასაფორმებლად მუყაოსაგან გამოჭერით წმიდა იაკობის ჯვარი, მოათავსეთ ნამცხვრის ცენტრში და მთელ ტორტს მოაყარეთ შაქრის პუდრა. როდესაც მუყაოს ამოიღებთ, ტორტი დამშვენებული იქნება ჯვრის გამოსახულებით.

Amnesty International-ის თანახმად, მსოფლიოში იზრდება სიკვდილით დასჯის ფაქტები



2023 წლისათვის მსოფლიოში 1153 სიკვდილით დასჯის ფაქტი დააფიქსირეს, რაც 2022 წელთან შედარებით 31%-ით (+270) ზრდას აჩვენებს (883 სიკვდილით დასჯა). ეს ყველაზე მაღალი მაჩვენებელია, დაფიქსირებული უფლებადამცველი ორგანიზაციის Amnesty International მიერ 2015 წლიდან, როდესაც სიკვდილით დასჯა 1634 პირი, თუმცა ეს მაჩვენებელი არ მოიცავს ათასობით ადამიანს, რომლებიც სიკვდილით დასაჯეს ჩინეთში, ასევე ჩრდილოეთ კორეასა და ვიეტნამში, საიდანაც მონაცემები არ მოეპოვება. ერთადერთი მონაცემი, რაც გარკვეულწილად პოზიტიურად შეიძლება მივიღოთ, ეხება იმ ფაქტს, რომ სიკვდილით დასჯა დაფიქსირდა მსოფლიოს მხოლოდ 16 ქვეყანაში: ეს ყველაზე დაბალი რიცხვია, რაც კი ოდესმე დაფიქსირებულა Amnesty International-ის მიერ, და ამგვარად დასტურდება ბოლო წლების ტენდენცია, რომელიც მოწმობს უფრო მეტ იზოლაციაზე იმ ქვეყნებისა, სადაც ჯერ არ გაუქმებულა სიკვდილით დასჯა. დღეისათვის 112 ქვეყანამ სრულიად გააუქმა სიკვდილით დასჯა, ხოლო 144-მა - კანონმდებლობით ან პრაქტიკით. აღრიცხული დასჯის ზრდა დიდწილად მიეწერება ირანში ნარკოტიკებთან დაკავშირებული დანაშაულისათვის სიკვდილით დასჯის საგანგაშო ზრდას (481 ფაქტი). ეს დანაშაულები, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლისა და სტანდარტების მიხედვით, არ შეიძლება ისჯებოდეს სიკვდილით. ასევე ირანში,

სულ მცირე, ხუთ ადამიანს მიუსაჯეს სიკვდილით დასჯა დანაშაულისათვის და აღასრულეს კიდევ განაჩენი, მაშინ როდესაც დასასჯელებს ჯერ არ შესრულებოდათ 18 წელი. 2023 წელს, სულ მცირე 2428 ახალი სასიკვდილო განაჩენი იქნა გამოტანილი 52 ქვეყანაში, 2022 წელს კი 52 ქვეყანაში სულ მცირე 2016. Amnesty International-მა დააფიქსირა სიკვდილით დასჯის შემსუბუქება ან შეწყობა 27 ქვეყანაში. მთელ მსოფლიოში 2023 წლის ბოლოსთვის სულ მცირე 27687 ადამიანი იქნა სიკვდილით დასჯილი.

მეთხოვეთეც წელია, რაც შეერთებული შტატები რჩება ერთადერთ ქვეყნად რეგიონში, სადაც 24 ადამიანი იქნა დასჯილი სასიკვდილო ინექციით. ამჯერად, მართალია, სიკვდილით დასჯისათვის საჭირო წამლების მოპოვება გაძნელდა, დასჯის ისეთ ფორმას მიმართავენ, როგორცაა აზოტით დახრჩობა, რაც ნელ სიკვდილს იწვევს. აშშ-ში სიკვდილით დასჯის რაოდენობა გაიზარდა 33%-ით, ანუ 2022 წელს სიკვდილით დასაჯეს 18 ბრალდებული, ხოლო 2023 წელს - 24. აზიის კონტინენტი კვლავ რჩება მსოფლიოში სიკვდილით დასჯის ყველაზე მაღალი რაოდენობის მაჩვენებელ რეგიონად. არსებული ინფორმაციით, აქ სულ 948 ახალი სასიკვდილო განაჩენი გამოცხადდა, რაც 10%-ით მეტია 2022 წელთან შედარებით, როდესაც ცნობილი იყო სულ მცირე 861 ადამიანის სიკვდილით დასჯა. ბელორუსი ევროპაში ერთად-

ერთი ქვეყანა, რომელიც მიმართავს სიკვდილით დასჯას, 2023 წელს აქ სიკვდილით დასჯა მიუსაჯეს ერთ ადამიანს. რუსეთსა და ტაჯიკეთში, სადაც გაუქმებულია სიკვდილით დასჯა, მოქმედებს მორატორიუმი. ახლო აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთ აფრიკის რეგიონში რეგისტრირებული სიკვდილით დასჯის ფაქტები გაიზარდა 30%-ით, 2022 წელს იყო 825, 2023 წელს კი - 1073. ირანი, საუდის არაბეთი და ერაყი - ამ სამმა ქვეყანამ რეგიონში სიკვდილით დასჯის ყველაზე დიდი ციფრი აჩვენა 2023 წელს.

სუბსაჰარულ აფრიკაში რეგისტრირებული სიკვდილით დასჯა სამჯერ გაიზარდა, 11-დან 38-მდე, შესაბამისად, 2022 წლიდან 2023 წლამდე. სიკვდილით დასჯის 38-ვე ფაქტი ერთ ქვეყანაში დარეგისტრირდა: სომალიში. ოთხმა ქვეყანამ (კე-

ნია, ლიბერია, ზიმბაბვე და განა) მიიღო პოზიტიური საკანონმდებლო ზომები სიკვდილით დასჯის გაუქმების მიზნით.

აქამდე ვერცერთმა კვლევამ ვერ შეძლო იმის ჩვენება, რომ სიკვდილით დასჯა მოქმედებს როგორც შემაკავებელი საშუალება დანაშაულის შესამცირებლად, ან მხოლოდ იმიტომ, რომ მკვლევლობათა უმეტესობა ხდება შეცვლილ მდგომარეობაში, ქიმიური თუ ფსიქიკური მიზეზით. ცხადია ისიც, რომ სახელმწიფო, რომელიც ახდენს თავისი მოქალაქის სიცოცხლის მოსპობის ლეგიტიმაციას, ფაქტობრივად, აკანონებს მკვლევლობას, როდესაც განიხილავს და წარმოაჩენს მას, როგორც შესაძლებელ პრაქტიკას, თუნდაც მორალურად დაუშვებელს.

მამა ბაბრიელ ბრახანთინი

თბილისის კათოლიკე ეპისკოპოსი იოანე ფლორენციელი

საფუძვლიანად განათლებული იოანე ფლორენციელი (1329-1348) ინტენსიურად თარგმნიდა ლათინურიდან ქართულ და სომხურ ენებზე.

ბექა ჭიჭინაძე: იოანე ფლორენციელი იყო დომინიკელი ბერი და შედიოდა იმ კათოლიკე მისიონერთა სიაში, რომლებიც საქართველოში მოღვაწეობდნენ. იგი საქართველოში თბილისის კათოლიკური საეპისკოპოსოს დაარსებამდე, დაახლოებით, 1318 წელს ჩამოვიდა. ცნობები მისი პიროვნების შესახებ ძალზე მწირია. რომის პაპის, იოანე XXII-ის წერილიდან ჩანს, რომ იგი დიდად განათლებული, მოკრძალებული და სათნოებით გამორჩეული პიროვნება ყოფილა.

იოანე ფლორენციელს საფუძვლიანად ჰქონდა შესწავლილი საღვთო საგნები, კარგად იცოდა ქართული ენა და ქართული ადათ-წესები; იგი ავტორიტეტით სარგებლობდა როგორც ქართველებში, ასევე საქართველოში მცხოვრებ არაქრისტიანებს შორისაც. მის სახელს უკავშირდება არაერთი წიგნის ქართულ ენაზე თარგმნა, თუმცა არც ერთ მათგანს ჩვენამდე არ მოუღწევია. იოანე ფლორენციელს კათოლიკე ეკლესია დიდ მოღვაწედ და მიიჩნევს.

Catholic.ge



განსვენება საუკუნო მიანიჭე მათ, უფალო!



ტალიტა ჩირბაიანი
* 29/10/1924 თბილისი
† 09/06/2024 თბილისი



ლიანა კოროშავა
22. 08. 1954, თბილისი
19. 04. 2024, მოსკოვი



სოლომონ გურაღაშვილი
02. 03. 1933, ხიზაბაურა
23. 05. 2024, ხიზაბაურა



ვალერი ჩაბლიაშვილი
15. 12. 1935, ვალე
25. 05. 2024, ვალე



გელა ჩიტაშვილი
27. 08. 1984, ვალე
18. 06. 2024, ვალე



KIRCHE IN NOT

კათოლიკე ეკლესია საქართველოში
კატკანის ლათინ კათოლიკეთა სამოციქულო აღმშენებელია



გუდო იესოსაო, გთხოვ შენ უმხურვადესად,
ქმენ, რომ მე დღითიდღე, ყფრო მეგად მიყვარდე!